პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! ფილოსოფიელ ბეთოლოგიელ

კომუნისტი

სსრკ. კ. პ. (ბ) ცენტ. და ტყუ. კომიტეტების და სსრკ. ცაკის ორგანო

ტელეფონები: №№ რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—23—17, სამდივნის—10—58, მთ. კანტორის—3—81.

ფასი 10 კაპ.

კარასკევი 6 ივლისი 1934 წ. № 155 (4011)

დღეს ნომერში

— ჩეხო-სლოვაკიის საგარეო საქმეთა მინისტრის ბენეშის სიტყვა.
— ექსკრონპრინცი ვილჰელმი გადაასახლეს გერმანიიდან.
— გერმანიის საკონცენტრაციო განაკეთებში დატყვევებულია 165 ათასი კაცი.
— ხმებია, რომ გერმანიის ვიცე-კანცლერად დაინიშნება გერინგი.
— ჰიტლერი ჰინდენბურგთან
— იაპონიის ახალი კაბინეტის შედგენა მიენდო ადმირალ ოკადას.
— ტფილისის სტალინის სახელობის ოქტომბერ-ოქტომბერ-ოქტომბერ-

პროფკავშირების მასობრივი კონტროლის ორაქტიკული ამოცანები

ამხ. იაროსლავსკის გამოსვლიდან პარტიული კონტროლის კომისიის მეორე პლენუმზე

პარტიის მე-17 ყრილობის გადწყვეტილებას მასობრივი კონტროლის მოწყობის, ძირეული კონტროლის ფუნქციების პროფკავშირებისათვის გადაცემის და „მსუბუქი კავალერიის“ მუშაობის გაძლიერების შესახებ ორნაირი მნიშვნელობა ჰქონდა: ერთი მხრივ — საკითხი ეხება თითონ ძირეული მასობრივი კონტროლის მუშაობის გაუმჯობესებას, ხოლო მეორე მხრივ პროფკავშირების და კომკავშირის ავტორიტეტის განმტკიცებას. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ პროფკავშირები დასაწყისიდანვე იჩენდნენ ამ გადაწყვეტილების შეუფასებლობას, ამ გადაწყვეტილე ის მნიშვნელობის ბაუგებლობას. აქედან წარმოსდგება ამ მუშაობის გაშლის სინელე.

ხარკოვიდან პლენუმზე გამგზავრების წინ მე ვთხოვე მოქალაქ ჩენნოვს ცნობა, თუ რა მდგომარეობაა უკრაინის პროფკავშირებში მასობრივი კონტროლის მოწყობის მხრივ. მე წაგიკითხავთ ორ ცნობას: პირველი — „ხარკოვში საბჭოთა კონტროლის კომისიის რწმუნებულის საჩივართა ბიუროს გამგის 9 მაისის წერილი ამხ. შაბლიევსკისადმი.

„დღემდის ამ დარგში პროფფორ განიზაციები არავითარ მუშაობას არ აწარმოებენ. საბჭოთა კონტროლის კომისიის ბიუროს კი მრავლად მოდის წერილები, საჩივრები და პირადი განცხადებები, მათ შორის ისეთი დიდი საწარმოებისაგან, როგორიცაა ხარკოვის ხატრაქტორო ქარხანა, საათქმელვლო ქარხანა, ელექტრომექანიკური ქარხანა.

1. როგორი უნდა იყოს მუშგლეხინის ხელისშემწყობი ჯგუფების შემდგომი მუშაობა ქარხნებში და

2. როგორ მოვაწყოთ მასობრივი კონტროლი საწარმოებში და მუშათა მომარაგების განყოფილებებთან, მუშათა დახმარულ კოოპერატივებთან, რაიონულ სამომხმარებლო საზოგადოებებთან და საქალაქო სამომხმარებლო საზოგადოებებთან?“

„...რადგან უკვე სამი თვე გავდა ყრილობის გადაწყვეტილების შემდეგ, ხოლო საკავშირო პროფსაბჭო მასობრივი კონტროლის მოწყობის შესახებ ადგილებს არავითარ მითითებას არ უგზავნის და ეს საკითხი ჰაერშია გამოკიდებული, გთხოვთ, მოსკოვში თქვენს გამგზავრებასთან დაკავშირებით დასვათ ეს საკითხი საბჭოთა კონტროლის კომისიასა და პარტიული კონტროლის კომისიაში, მისი გადაწყვეტის დაჩქარების მიზნით“.

მეორე ცნობა — იმავე წყაროდან, რომელიც შედგენილია უკვე ჩემი დავალებით 25 ივნისს.

„1934 წ. 25 ივნისი. ამხ. გულთან (ამხ. ეუვირონის მოადგილე) ტელეფონით ლაპარაკის დროს მან დაადასტურა, რომ დღემდის, საკავშირო პროფსაბჭოს არავინ არ გაუკეთებია ამხ. კაგანოვიჩის მოხსენების გამო საკ. კ. პ. (ბ) მე-17 ყრილობის მიერ მიღებული ოპერატიული ინსტრუქციების და გადაწყვეტილების შესასრულებლად, რადგან, როგორც ამხ. გულიმ განაცხადა, „საკავშირო პროფსაბჭოსაგან არავითარი მითითება არ არის“.

მაგრამ თუ უცადეთ მითითებებს საკავშირო პროფსაბჭოსაგან, თუ უკვლია რესპუბლიკა, მხარე, ოლქი ასე მოეპყრობა ამ საქმეს, ხოლო თითონ არავითარ ინიციატივას არ გამოიჩენენ, მაშინ, ცხადია, რომ აქედან არაფერ არ გამოვა.

რატომ დავსვით ჩვენ ეს საკითხი პლენუმზე შემოწმების წესით?

ვფიქრობ, ეს საკითხი რომ ამეკამად არ ყოფილიყო დასმული, მაშინ რამდენიმე თვის შემდეგაც თქვენგან მივიღებდით ასე თასავე ცნობებს. — საქმე არ გაშლილაო.

ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ საჭირო ეფექნას ნამდვილად მასობრივი კონტროლი.

ვფიქრობ, რომ უნდა შეიქმნას მუშტი კონტროლისათვის და მოხდეს იმ ამხაოაგების ნამდვილი შერჩევა, რომლებსაც ჩვენ მასობრივ კონტროლზი ვაბამთ. ეს ეხება რა მარტო პროფკავშირებს, არამედ „მსუბუქ კავალერიასაც“. „მსუბუქი კავალერიის“ მიმართ ამხ. კაგანოვიჩს არა ერთხელ აღენიშნავს, რომ არა ყოველი კომკავშირელი შეიძლება იყოს კავალერისტი.

რა თქმა უნდა, მასობრივი კონტროლის მოწყობას ჩვენ უნდა ვუფუძნებდეთ, უწინარეს ყოვლისა, როგორც სახელმწიფო მმართველობის სკოლას. და ამ სკოლაში ჩვენ, ცხადია, თანდათან უნდა ჩავაბათ ყველა. მაგრამ ეს არ უარყოფს, მაგალითად, სპეციალური ჯგუფების მოწყობას ცალკე დარგების მიხედვით, პირიქით, გულისხმობს მათ მოწყობას, ვინაიდან უმართებულოა საკითხის ისე დასმა, რომ ყოველი კომკავშირელი ან ყოველი მუშა შეიძლება იყოს ენციკლოპედისტი. უნდა მოეწყოს ჯგუფები მეურნეობის ყველა დარგში, ისე როგორც საჭალაქო საბჭოებთან ეწყობა დარგობრივი სექციები.

მე მგონია, რომ ძირეული კონტროლის ჯგუფები საწარმოებში უნდა მოეწყოს აგრეთვე სპეციალური დარგების მიხედვით, რათა ისინი დახელოვნდენ, გაიწვრთნენ ამ მუშაობაზე, რათა მათ ზედმიწევნით შეისწავლონ ეს საქმე, რომ მათი მოტყუება შეუძლებელი იყოს, რომ მათ შეეძლოთ ყოველ ჭუკრტანაში შეიხედონ, ყოველ წვრილმანს ჩასწვდნენ. ეს მხოლოდ გაადვილებს კონტროლის ორგანიზაციის ავტორიტეტს. აქ, სადაც ამ საქმეს უკვე ხელი დაკიდეს, არის ცალკეული ცნობები პროფკავშირის ავტორიტეტის ამაღლების შესახებ. ეგრამ დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ძირეული კონტროლის ორგანოებს ჭეშმარიტ ხელმძღვანელობა გაეწიოს. რა თქმა უნდა, აქ უნდა ბავშვოთ ინიციატივა ადგილებზე, შეიქმნათ ისეთი განწყობილება ძირეულ ორგანიზაციებში, ფაბქარხკომებში, რომ ისინი არ უცდიდენ მითითებას, რამე დებულებას, ყოველისშემცველ პროგრამას საოლქო პროფკავშირებისაგან, არამედ იბრძოდენ თვითეული კონკრეტული, ცოცხალი საქმისათვის, რომელიც მასებს ეხება, აუშარავებდენ უწესრიგობას, რომელსაც ადგილი აქვს. საჭიროა, რომ პროფკავშირების ცენტრალურმა კომიტეტებმა, რომ საოლქო პროფკავშირებმა ხელმძღვანელობა გაუწიონ ამ საქმის და არ მივნდოდნ იმი თვითდინებას, განსაკუთრებით ეს ეხება ბელორუსიას, ბაკინსკი, ივანოვო-ვოზნესენსკი, ურალი, ნიჟნეგოროდი, ტულა, ტომსკი, ბაშკირია, ტატარია, ჩრდილოეთ კავკასია, ყირიმი, ზაკავკასია, ცენტრალური ჩერნოზემი, ლენინგრად

ნავთზიდვის გეგმის შესრულებით ხვდება ა.-კ. რკინისგზა ისტორიულ დადგენილების წლის თავს

„ტრანსპორტი წარმოადგენს იმ ადგილს, რომელზედაც შეიძლება წაიფოთხილოს და შეიძლება ითქვას, უკვე ფოთხილობს მთელი ჩვენი ეკონომიკა და უწინარეს ყოვლისა ჩვენი საქონელბრუნვა“ (სტალინი)

კაპიტალ რკინიგზელი—ამხ. კუტაფინი

ა.-კ. რკინის გზის სახელოვანი ადამიანები

ამხ. კოტკოვი (დისპეტჩერი), დეპეტრაძე (მზეთაური); ნ. აბესაძე (ზეინკალი), ნ. გელაძე (მემანქანე); ვ. ბარბაქაძე (ოსტატი); და ხაჩიძე (შემადგენელი)

როგორ მუშაობდა ა.-კ. რკინისგზა

ნავთი

ამიერ-კავკასიის რკინისგზა უმთავრესად ნავთზიდვის მაგისტრალია. ამიტომ მისი მუშაობის შეფასება ძირითადად იმისდამიხედვით ხდება, თუ როგორ ასრულებს იგი ნავთის გადაზიდვის გეგმას.

ცნობილია, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში ა.-კ. რკინისგზა ვერ ასრულებდა ნავთზიდვის გეგმას.

ხაკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ-ის და სახკომსაბჭოს გ.-წ 3 ივლისის ისტორიული დადგენილება გახდა იმ ძირითად ბერკეტად, რომელმაც საგრძნობლად ასწია ა.-კ. რკინისგზის მუშაობის ხარისხი.

გასული წლის პირველ ნახევარში ა.-კ. რკინისგზამ გადაზიდა 140.188 ცისტერნა ნავთის პროდუქტი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ 155.539 ცისტერნისა. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში კი, მან გადაზიდა 159.000 ცისტერნი ნავთოლი, ნაცვლად 157.430-სა. ნახევარი წლის გეგმა ა.-კ. რკინისგზამ ვადაზე 7 დღით ადრე შეასრულა.

რას მოწმობენ ეს ციფრები?

უპირველეს ყოვლისა იმას, რომ საკ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის და პოლიტგანყოფილებათა მტკიცე ხელმძღვანელობით, ა.-კ. რკინის გზამ დროზე მიაგნო იმ მიზეზებს, რომლებიც უშლიდნენ ხელს ნავთზიდვის გეგმის შესრულებას. უმთავრესი მიზეზი ცისტერნების ხუსტი ბრუნვა იქო. შრომის დისციპლინის აღმაშფოთებელი მდგომარეობა და ამით გამოწვეული მარცხები აბრკოლებდნენ ნავთის მარშრუტების შეუფერხებელ მიმოსვლას ბათომსა და ბაქოს შუა.

მიმდინარე წლის დასაწყისიდანვე ბაიშალა ბრძოლა ცისტერნების ბრუნვის დასაჩქარებლად. საკ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტმა ამ დარგში ჩამორჩენილობის ხალიკვიდაციოთ. მთელი რიგი ზომები მიიღო. მართლაც, ამ ღონისძიებამ სათანადო ნაყოფი გამოიღო. ცისტერნების ბრუნვა გასულ წელთან შედარებით 1,1 დღეღამით შემცირდა.

ამ ძირითად გარდატეხას ნავთის ჩამოსხმა-დაცლის საქმეში საფუძვლად დაედო სკ. ბათომის უფროსის ამხ. კიკნაძის მეთოდი, რომელიც სადგურის გეგმის შესრულების მტკიცე პასუხისმგებლობას აკისრებს ცვლას და მის ბრიგადებს.

ცისტერნების ბრუნვის შემცირებას ხელი შეუწყო აგრეთვე მოძრაობის სწორმა ორგანიზაციამ. ამ მხრივ შესანიშნავია ბაქოს დისპეტჩერის ამხ. კონკოვის მეთოდი; რომელიც მდგომარეობს დისპეტჩერის მუშაობის ყველა მაჩვენებლის ზუსტ აღრიცხვაში.

ამ ორივე მეთოდმა მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ნავთზიდვის გეგმის შესრულების ზრდას. თუ გასული წლის ივნისს გზის პარკში ირიცხებოდა 4 ათასზე მეტი ცისტერნი და რკინისგზა მაინც ვერ ახერულებდა საშუალოდ ყოველდღიურად 845 ცისტერნის გადაზიდვას, ამჟამად 3413 ცისტერნით მან უზრუნველყო საშუალოდ 900 — 950 ცისტერნი ნავთის ჩამოსხმა.

მარგანეცი

ბაქოს ნავთის გარდა, ამიერ-კავკასიის რკინისგზა ჭიათურის მაღაროებსაც უწევს მომსახურებას. თუ გასული წლის განმავლობაში გზა სისტემატურად აფერხებდა მარგანეცის გამოზიდვას, ამჟამად იგი თავის დროზე აწვდის ვაგონებს ჭიათურის მრეწველობას. გასული წლის მეოთხე ნახევარში ა.-კ. რკინისგზამ ამ მადანით 26.670 ვაგონი დატვირთა, მიმდინარე წლის პირველ ნახევარში დატვირთულია 30.000-ზე მეტი ვაგონი მარგანეცი.

ამხ. კიკნაძის მეთოდის განხორციელებამ ხელი შეუწყო სადგურებს შავი ქვის დასატვირთ ვაგონების მოცდენის შეცირებაში. მარტო ის ფაქტი, რომ ა.-კ. რკინისგზის კლიენტს — „მარგანტრესტს“ არაფერი „სახაუვეფორო“ არ აქვს რკინისგზისადმი, მოწმობს ერთგვარად მომხდარ გარდატეხას.

საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალურ გიგანტების მოთხოვნილება მარგანეცზე დღითი-დღე იზრდება. დიდი რაოდენობით იგზავნება მარგანეცი მაგნიტოგორსკში, კუზბასსა და დონბასში. სამწუხაროდ, ჩვენი მრეწველობის მოთხოვნილებებს „მარგანტრესტი“ და ა.-კ. რკინისგზა ჯერჯერობით სუსტად აკმაყოფილებენ. ეს უნდა გაითვალისწინოს ორივე მხარემ; მათ უნდა გააძლიერონ ბრძოლა გიგანტების ზუსტი მომსახურებისთვის.

ქვანახშირი

საგრძნობლად გაუმჯობესდა ტყიბულის ქვანახშირის მაღაროების მომსახურებაც. თუ გასული წლის უკანასკნელ ნახევარში დაიტვირთა 4.980 ვაგონი ქვანახშირი, მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ა.-კ. რკინისგზამ გადაზიდა 8.000-ზე მეტი ვაგონი.

აღგილობრივი მრეწველობის მოთხოვნილება ტყიბულის ქვანახშირზე დიდია. ამ მოთხოვნილებებს რკინისგზა სუსტად აკმაყოფილებს. არ არის შექმნილი ყველა პირობები ნახშირის თავის დროზე გამოსაზიდად. მექანიზებული არ არის მისი გადატვირთვა შტოდან მთავარ მაგისტრალზე. მოკლებაზიანი ვაგონების პარკი რომელიც აუცილებელია ტყიბულისთვის; ხშირად ოფანტება ა.-კ. რკინისგზის სხვადასხვა უბნებზე, რის გამო ზოგჯერ შეუძლებელი ხდება საჭირო რაოდენობის ვაგონთა მიწოდება მაღაროებისთვის. ამ დაბრკოლებათა გადალახვა — ძირითადი ამოცანაა ა.-კ. რკინისგზისა.

დანარჩენი ტვირთი

უნდა ითქვას, რომ წარსულთან შედარებით მშრალი ტვირთის გადაზიდვაც წელს საგრძნობლად გაუმჯობესდა. თუ გასული წლის პირველ ნახევარში ა.-კ. რკინისგზამ გადაზიდა 156.180 ვაგონი მშრალი ტვირთი, მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მან გადალამუშავა 174.180 ვაგონი. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვან წარმატებასთან გვაქვს საქმე.

***

ა.-კ. რკინისგზის მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებელები დამაკმაყოფილებელი არ არის. მის პარკში ორასზე მეტი ცისტერნი ირიცხება ნორმაზე ზევით, ხოლო საბარგო ვაგონების რიცხვი მოცემულ ნორმას 6 პროცენტით აღემატება.

ყოველივე ეს არ იძლევა იმის საბაბს, რომ დაკმაყოფილდეთ იმ მიღწევებით, რომლითაც დღეს ა.-კ. რკინისგზა ეგებება პარტიისა და მთავრობის ისტორიული დადგენილების ერთი წლის თავზე.

საქმე ამ მიღწევების შენარჩუნებაში, მათ გაღრმავებაში მდგომარეობს. საჭიროა ყოველდღიური ბრძოლა მარეგულირებელი ბრძანებების შესასრულებლად, შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად, მაგონების და ცისტერნების მოძრაობის დასაჩქარებლად, ტვირთზიდვის სახელმწიფო გეგმის უეჭველად შესასრულებლად.

გზა გამარჯვებისაკენ

სად. ბათომის უფროსი გ. კიკნაძე

ეხლა უკვე შორეულ წარსულს ეკუთვნის ის საათები, როდესაც ახალგაზრდა მოსწავლე ღლიავში წიგნებ გამოჩრილი იყო ატუზული, ერთ-ერთ საველე სადგურის მორიგის ოთახის ღია კარებთან, საიდანაც ისმოდა „მორზეს“ მილეული კაკუნი.

მას შემდეგ გავიდა დიდი ხანი; და როდესაც „მორზეს“ პირველი ანბანი გავარკვიე, მეგონა, რომ რკინის გზის მთელი საიდუმლოება ჩემს ხელში იყო და მე ვიყავი მისი ბატონ - პატრონი. შემდეგ, ტელეგრაფის ახალგაზრდა მოხელემ გაიარა მთელი რიგი თანამდებობა და უკანასკნელად მიაღწია საექსპლოატაციო რაიონის უფროსის მოადგილის თანამდებობას. მაგრამ პირველი აღტაცება როდი განმეორებულა. თითქოს ყოველივე მიმდინარეობდა თავისი წესით — სწავლა და დაწინაურება.

პარტია დაეხმარა ყოფილ ტელეგრაფისტს და 1930 წელში სწავლის მისაღებად ლენინგრადში მიავლინა. ორი წლის შემდეგ ის დაბრუნდა უკან საკუთარ გზაზე როგორც ინჟენერი.

ასეთია ცხოვრების პირველი ნაბიჯები...

ჩემი აზრით, ყველაზე უფრო მძიმეა ინჟენერის ყოფნა კანცელარიაში.

გასული წლის 3 ივლისის დადგენილებამ გააღო ამ კანცელარიის კარები — 10 ნოემბერს მე გადამიყვანეს ძირეულ რგოლის გასამაგრებლად ბათომში — სადგურის ხელმძღვანელად.

***

ბათომის სადგური მძიმე გარღვევას განიცდიდა. იგი ვერ ასრულებდა ვერც ერთ მოცემულ საზომს. ცისტერნის მოცდენა ნავთის ჩამოცლის ქვეშ 6 საათს შეადგენდა 4,8 საათის ნაცვლად. საბარგო ვაგონის მოცდენა 46 საათს აღწევდა 33,5 ნაცვლად. სამანევრო ორთქლმავალი ისე ნელა დაღოღიალებდა სადგურის ლიანდაგებზე, რომ ძლივს ასწრებდა 6 ვაგონის გადამუშავებას.

ისრის უპატრონობისა და მოუვლელობის აშკარა დაღი ჰქნდა. 68 ისრიდან მხოლოდ 10 იყო განათებული.

ერთადერთი სადგურის ინჟენერი ამხ. ტოუშევი ძველ ხელმძღვანელობას გამოიყენებია როგორც... მოანგარიშე. უკანასკნელი აჯამებდა მონარდეთა მიერ გამომუშავებულ, ხელფასს ე. ი. აწარმოებდა იმას, რაც თამამად შეეძლო გაეკეთებია კატორის უბრალო მოხელესაც კი.

შრომის დისციპლინა აღმაშფოთებელ მდგომარეობაში იყო; სადგურის მორიგე და სხვა კომანდირი მთლიანად გაუპიროვნებული იყვნენ.

ასეთ პირობებში, რასაკვირველია, უნდა დამეწყო შრომის დისციპლინის აღდგენით. საქმე უჭირს აგენტების დაპატიმრებამდეც მიდიოდა, მაგრამ ეს გარემოებას არ შველოდა.

კლიენტურა უნდა დაგვეხმაროს

3 ივლისის დადგენილებამდე ა.-კ. რკინისგზის პირველ ექსპლოატაციო რაიონის აპარატში 142 კაცი მუშაობდა. რეორგანიზაციის შემდეგ ეს შტატი საგრძნობლად შემცირდა. 9 ინჟენერი და 16 ტექნიკოსი გადავიყვანეთ დეპოებში; 4 ინჟენერი და 6 ტექნიკოსი — ლიანდაგის დისტანციაში; 2 ტექნიკოსი — კავშირგაბმულობაში; ხოლო 3 ტექნიკოსი მივიცეთ სადგურებს.

ამ ღონისძიებამ საგრძნობლად გაუმჯობესა მუშობა და დღეს პარტიისა და მთავრობის დადგენილების ერთი წლის თავზე პოლიტგანყოფილების მტკიცე ხელმძღვანელობით, ჩვენ სერიოზული მიღწევები გვაქვს.

მაგალითისათვის შეგაძლია შარშანდელი და წლევანდელი მაისი. შარშან დღეღამეში საშუალოდ 262 ვაგონი იტვირთებოდა. წელს 360 ვაგონის დატვირთვას ვახერხებთ. შარშან ვღებულობდით და ვატარებდით 104 მშრალტვირთიან ვაგონს, წელს კი 119 ვღებულობთ და ვატარებთ. ვატარებდით 309 ცისტერნას. ამჟამად ვატარებთ 343. მუშობის შესრულება შარშან 657 ვაგონს უდრიდა. წელს 820 აღემატება. შარშან 250 ვაგონს ვცლიდით, წელს 348-ზე ავედით. ეს მაშინ, როცა შარშან ჩვენს განკარგულებაში იყო 1374 მუშავაგონი და წელს 1190-ია.

მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ვვემდურებიან ვეგმათა შეუსრულებლობას ვვბარალებენ. ეს სწორიცაა. მაისის დატვირთვის გეგმა ჩვენ შეთლილ 89 პროცენტით შეესრულეთ. რაშია საქმე? საქმე ისაშია, რომ ჩვენ არ გვყვანან მაინც დამაინც კარგი კლიენტები; კარგ კლიენტს იმას ვუწოდებთ, ვინც თავის ვალდებულებას ჩვენს წინაშე კარგად ასრულებს.

იციოთ „მარგანტრესტი“. იგი ჩვენ ყოველდღიურად 200 ვაგონს გვთხოვს. ვაწვდით უჭლებლივ. მაგრამ ისინი სისტემატურად ტვირთავენ არაუმეტეს 150 ვაგონისა. უკანასკნელად ესაც ვერ ტვირთავენ. 1 ივლისს; მაგ.; 80 ვაგონზე მეტი ვეღარ დატვირთეს.

ჩვენი ტვირთზიდვის გეგმა ამ კლიენტთაგან წარმოდგენილ მოთხოვნილებების საფუძველზე დგება. ამაზე ვეგმის მიხედვით ვიწვდით მათ ვაგონებს, მაგრამ ისინი ვეღარ ტვირთავენ და ეს ჩამორჩენა ჩვენ ფეხზე ვდგებოდა.

სამტრედიის საექსპლოატაციო განყოფილებას შეუძლია იმუშაოს საათის მექანიზებით, თუ ამაში მას ხელს შეუწყობა კლიენტური.

პირველი საექსპლ. განყ. უფროსის მოადგილე — ვ. კვინიკაძე

პონკრეტული პასუხი

გასული წლის 11 სექტემბერს გაზეთი „პრავდა“ მოგვითხრობდა იმის შესახებ, თუ გრონზოს დისპეტჩერმა ამხ. კუტაფინმა როგორ უბრალოდ მუშურად — უ სტუდიოდ უჩვენა მთელი კავშირის რკინისგზელებს ოშვიათი დამკვრელობის მაგალითი.

მან პირველმა გაატარა ჩრდილო - კავკასიის რკინისგზის ერთერთ უბანზე ამკრეფი მატარებელი ჩვეულებრივ დაზვიანების მაგივრად განრიგებაზე რამოდენიმე საათით ადრე.

ამ ამბავმა მე ალტაცებაში მომიყვანა და მეტად დამაინტერესა. 14 სექტემბერს გადაწყვეტე ახეთი ცდუნ ჩატარება ჩვენს პირობებში ტფილისის - ხაშურის უბანზე. როგორც მოსალოდნელი იყო იგი ბრწყინვალედ დასრულდა.

არ გასულა ამის შემდეგ დიდი ხანი, რომ სად. ბათომის უფროსმა ამხ. კიკნაძემ დამკვრელობის არა ნაკლებ მნიშვნელოვანი ნიშნი გვიჩვენა. განკარგულებელ სადგურებს ამ თავითვე მოწინავეთა რიგებში ამხ. ბურჭულაძის ცვლა მოექცა. ოთხი თვის განმავლობაში შეინარჩუნა მან პირველობა. მაგრამ, აპრილში, მას გაუსწრო ახალგაზრდა დისპეტჩერის— ბარსეგიანის ცვლამ ახალმა ღონისძიებამ აღმოაჩინა საუკეთესო დამკვრელები მეისრეთა შორის. შენგელია, ბურჭვანაძე, გუგუშვილი, მაჩაბელი — აი საუკეთესო მეისრეები ბათომში.

მათ არ ჩამორჩებიან შემადგენლები—ქორიძე, გვარჯალაძე, გოგია და სხვანი.

ინჟენერმა ტოუშევმა შეავსო თავისი სამუშაო დღე ნამდვილი ტექნიკური შინაარსით. ამჟამად ის ამუშავებს საზომებს, სამანევრო ორთქლმავლების მუშაობის გრაფიკს, გამტარუნარიანობის გრაფიკულ გამოანგარიშებებს და სხვადასხვა ტექნიკურ საკითხებს. უნდა ნახოთ, როგორი კმაყოფილია ახალგაზრდა ინჟენერი თავისი საქმით. მე ყოველდღე თვალწინ მიდგია მისი სიცოცხლით და ახალგაზრდული ენერგიით სავსე სახის გამომეტყველება. მასზე აღბეჭდილია დიდი ნიჭი და სინდისიერი დამოკიდებულება საქმისადმი და მე ვამაყობ მით ისევე როგორც ახალგაზრდა ტექნიკოს **კუნჭულიათი**, რომელიც მარტო უწევს ხელმძღვანელობას ვაგონების აღრიცხვის საქმეს.

ცვლის მუშაობის აღრიცხვამ ცუდი მუშაკებიც გამოაჩინა — მეისრე **გიგინეიშვილი** და გადამბმელი **ბ. ჭყონია.** ორივე გაექცა სადგურს.

***

მიუხედავად დარჩენილი საბოტაჟნიკების წინააღმდეგობისა, ბათომმა შესძლო მნიშვნელოვანი მიღწევების მოპოვება სადგურის მუშაობის ზუსტი აღრიცხვით ცვლებში. თუ წინეთ იგი ვერ ასრულებდა ვერც ერთ საზომს, ეხლა უკვე თავისუფლად იფლობს მას. ცისტერნების მოცდენა ჩვენ დავიყვანეთ 3,8 საათამდე, ხოლო ვაგონების მოცდენა არ აღემატება 20 საათს; სამანევრო ორთქლმავალის კოეფიციენტიც გაიზარდა 11-მდე. **დატვირთვის სახელმწიფო გეგმა აპრილში შეასრულეთ 127 პროცენტით, მაისში კი 188 პროცენტით.** შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევებმაც იკლო.

გაშლილი პარტმასობრივი მუშაობა ცვლებში გადაიქცა ჩვენი გამარჯვების ნამდვილ თავდებათ. პარტორგი ამხ. მარგალიტაძე პირადად ამოწმებს ყოველი კომუნისტის მუშაობას ცვლაში, ესაუბრება მათ და, ამრიგად, პოლიტიკურად უზრუნველყოფს ჩემი ბრძანების შესრულებას.

ეს მიღწევები ჩვენ როდი გვაკმაყოფილებს. **ჩვენ აღმოვაჩინეთ მხოლოდ გზა პარტიისა და მთავრობის ისტორიული დადგენილებათა აუცილებელი რეალიზაციისაკენ.** ამ გზის პირველ წილად ამ სტრიქონების ავტორს ერგო.

უნდა წარმოგედგინათ, რა სიხარულმა მოიცვა იგი, როცა თვითონ ცვლა ამუშავებდა მის განკარგულებებს, როცა ყოველ ბრიგადა ჩასცქეროდა ციფრებს, რომლებიც მათთვის არა ნაკლები საიდუმლოებით იყვნენ მოცული, ვიდრე მისი შემქმნელის წინაშე ამ ოცეიოდე წლის წინედ საველე სადგურის მორიგის ღია კარებში „მორზეს“ მილეული კაკუნი...

ჩვენი ადგილი

მოწინავეთა რიგებშია

მეორე განყოფილების წარსული და მიმდინარე მუშაობის ხარისხობრივ - რაოდენობრივი მაჩვენებლების შედარება სრულიად ნათლად მოწმობს, თუ რა დიდი მნიშვნელობის გარდატეხა მოხდა ჩვენს მუშაობაში ხაკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის და სახკომსაბჭოს დადგენილებათა რეალიზაციის საფუძველზე.

საკმარისია მოვიყვანოთ რამდენიმე თვალსაჩინო ცნობები.

1933 წლის პირველ ნახევარში რაიონის ფარგლებში ვაგონთა ბრუნვას უნდებოდა 4 დღე-ღამე, მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ვაგონთა ბრუნვა 2,5 დღე-ღამით განისაზღვრა.

სატვირთო მატარებლების კომერციული სისწრაფე შარშან შეადგენდა 12 კილომეტრს საათში, ამჟამად იგი აყვანილია 15—16 კილომეტრამდე.

ჩვენს საკვანძო სადგურებზე (ტფილისი, ნავთლუღი, ხაშური) სატრანზიტო ვაგონების მოცდენა დიდი იყო. ტფილისში ვაგონი ცდებოდა 8 საათს, ნავთლუღში—23 საათს, ხოლო ხაშურში—7 საათს. ჩვენ შეგვეძლოთ უსარგებლო გაცდენათა შემცირება ისე, რომ ამ სადგურებზე იგი თანმიმდევრობით არ აღემატება 5, 13 და 5 საათს. ტვირთის გადამუშავების ქვეშ ვაგონების მოცდენა იმავე სადგურებზე გასულ წელში მერყეობდა 32 და 47 საათს შორის, მიმდინარე წელში კი იგი არ აღემატება 27 საათს.

ჩვენი მუშობის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ზრდა გამოწვეულია შრომის დისციპლინის სათანადო განმტკიცებით. წარსული წლის პირველ ნახევართან შედარებით მიმდინარე წლის 6 თვის განმავლობაში გაცდენა, სამსახურში გამოუცხადებლობა და შრომის დისციპლინის დარღვევის სხვა ამგვარი ფაქტები შემცირდა 35 პროცენტით.

მუშა-მოსამსახურის საშუალო ხელფასიც სანგარიშო დროის განმავლობაში გაიზარდა 24 პროცენტით.

პარტიის და მუშათა კლასის ოდიდესი ბელადის ამხ. სტალინის გენიალური გამჭრიახობით შესაძლო გახდა ტრანსპორტის ყველა ცოცხალი ძალიბის ამოძრავება სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ტვირთზიდვის შესასრულებლად და მისი მეურნეობის გასაჯანსაღებლად. მისი ხელმძღვანელობით ნაკარნახევ სკ. კ.პ. (ბ) და სახკომსაბჭოს 3 ივლისის დადგენილების ურყევად და გადაუხრელად ცხოვრებაში გატარებას ყოველდღიურად გამოჰყავს ა.-კ. რკინის გზ. ჩამორჩენილობიდან და აყენებს სახალხო მეურნეობის მოწინავე რიგებში.

ექსპლოატაციის სამსახ. მე-2 განყ. უფროსი პ. კეკელიძე.



გამარჯვების პა[illegible]

საკ. კ. პ. (ბ) სამხ. კომ —ამხ.

ა.-კ. რკინისგზის უფროსს—ამხ. რ[illegible]

პოლიტგანყოფილების უფროსს—[illegible]

საგზაო კომიტეტი—ამხ. მაჩაიძე

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და სახკომსაბჭოს გ. წ. 3 და [illegible] ლისის დადგენილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში, ტფილისის ამხ. ბერიას სახელობის ვაგონების სარემონტო ქარხნის კოლექტივმა თქვენი უშუალო ხელმძღვანელობით და კონკრეტული დახმარებით მიაღწია შემდეგს:

ნახევარი წლის ვაგონების შეკეთების გეგმა სამგზავრო ვაგონების ცეხში შესრულებულია ვადაზე ადრე,—174 ნაცვლად გამოშვებულია 181 ვაგონი, 173[illegible] საბარგო ვაგონის ნაცვლად, გამოშვებულია 173[illegible], მათ [illegible]ის 723 ცისტერნი.

შესრულებულია მთლიანად და გა[illegible]ით ვაგონებზე ავტოგადაბმისა და ავტომუხრუ[illegible]ოგბის გეგმა.

ისტორიულ დადგენილებათა წლ[illegible] სარემონტო ქარხანა იძლევა გოლშ[illegible] პარტიისა და მთავრობის და-დგენ[illegible] სათვის ბრძოლით ის შესასრულებ[illegible] მეურნეობის გაჯანსაღების საქმე[illegible]

ვაგონების სარემონტო ქარხნის უფ[illegible]
პარტორგი და პარტკომ[illegible]
ქარხანა[illegible]

პოლიტგანყოფილებები [illegible] სტალინური სტილისათვის

გარდატეხის წელი

ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც პარტიამ და მთავრობამ დასახეს ღონისძიებები, რომლის საშუალებით კომუნისტებსა და უპარტიო აქტივისტებს უნდა „აიწიათ რკინისგზის ტრანსპორტი სათანადო სიმაღლეზე და გამოეყვანათ იგი ფართო გზაზე“.

პირველ რიგში ჩვენთვის — პოლიტგანყოფილებებისათვის ზეპირი შეექმნა სამეურნეო მუშაკებისა და რაიონის პარტორგანიზაციის ხელმძღვანელობს თვითდაკმაყოფილების განადგურება.

პოლიტგანყოფილებამ და საკ. კ. პ. (ბ) ტფილისის კომიტეტმა, ადგილობრივ გაზეთებთან ერთად, ჩაატარეს რეორგანიზაციის შემოწმება ტფილისის კვანძზე. აღმოჩნდა ოფიციალური სურათი: — **მუშაობის ნამდვილი გარდაქმნის ნაცვლად აშკარა საბოტაჟი სუფევდა მთელ რიგ საწარმოო. ერთეულებში.**

მე-17 ყრილობისათვის მზადების პერიოდმა და დამკვრელობის სტალინური გაწვევამ ასწია ტრანსპორტის მუშაობა. ყველგან გაიშალა სტალინური გაწვევის დამკვრელობა. **არტემ მაკარაშვილი, ვასო. ბარბაქაძე, ბელაძე, ტანასეიშუკი, ლეშავა, ფიალაური, ემგინოვი, ფიფინაძე, ბეწაძე, კურბანიძე, ფრანჩუკი** და სხვ. — მოეკვეთ ამ დამკვრელობის მოწინავე რიგებში. ისინი გადაეკვეთ რაონის სიამაყეთ; მათი მუშობა ყველასათვის მაგალითის მიმცემი გახდა.

ყველაზე მივიწყებული უბანი რაიონში იყო საველე სადგური. პოლიტგანყოფილებამ მიამაგრა მათზე პარტიული მუშაკები. 70-მდე სადგურმა შეიძინა ახალი პარტიული ძალა, რომლებიც ფეკადაში ერთხელ ვალდებულნი არიან მოეაროონ საველე სადგური და გაიყვანონ მას პარტიული ხელმძღვანელობა. ამრიგად, კონკრეტული შინაარსით აღსავსე საზოგადოებრივმა ცხოვრებამ ამოხეთქა აქამდე მივიწყებულ „მეზუთე კლასის“ სადგურებზე და ბაქნებზე. ტფილისის კომიტეტის სპეციალური დადგენილებით მთელი რიგი ქალაქის საწარმოები მიმაგრებული იქნენ რაიონის საველე სადგურებზე. პროპაგანდისტების ჯგუფი გაგზავნეს ხაზზე მე-17 ყრილობის დადგენილებათა დასამუშავებლად.

მაისსა და ივნისის მაჩვენებლები რაიონის მუშაობისა, ნათლად ამტკიცებენ რომ ჩვენ მივდიგართ წინ. მაგრამ ვერ მივეცემით თვითკმაყოფილებას. ჩვენ ვიცით, რომ „გამარჯვება არასოდეს არ მოდის თავის თავად“ გამარჯვებისათვის საჭიროა ბრძოლა. ჩვენც ვიცხადებთ დიდი ბელადის ამხ. სტალინის ბრძნული რჩევას და ა.-კ. კავკასიის ბოლშევიკების მებრძოლ შტაბის — სამხარეო კომიტეტის და პირადათ ამხ. ბერიას ხელმძღვანელობით განვაგრძობთ ბრძოლას იმ ისტორიულ ამოცანათა შესასრულებლად, რომელიც დაგვისახა პარტიამ და მთავრობამ გასული წლის 3 ივლისს.

ი. ფოროფოლაძე
II განყ. პოლიტგანყოფ. უფროსი

მორიგი ამოცანა

„კომუნისტებისა და უპარტიო აქტივისტების ცუდი მუშაობა — ასეთია რკინის გზის ტრანსპორტის ცუდი მუშაობის წყარო“. საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის ეს მითითება მთლიანად ეხებოდა სამტრედიის საექსპლოატაციო რაიონის (ახლა განყოფილების) მუშაობასაც.

რაიონის პოლიტგანყოფილების მუშაკები უწინარეს ყოვლისა შეუდგენ პარტიჯგუფდების მუშაობისა და ცოცხალი ადამიანების შესწავლას.

ბათომის და სამტრედიის სადგურების მუშაობა გვიჩვენებს, თუ როგორ იქმნება შეგნებულ პროლეტარ - ტრანსპორტელის ახალი ტიპი. ამ სადგურებში მატარებელთა შემადგენელი არა თუ პასუხისმგებელია ხანმეტი მუშაობისათვის, არამედ იგი ვალდებულადაც თვლის თავს ყოველდღე თვალყური აადევნოს ირბების სისუფთავეს, ხოლო მეისრე აქტიურად იბრძვის ვაგონების გაცდენის შემცირებისათვის.

ხახკომსაბჭოს და საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის გადაწყვეტილებაში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი საგაგონო პარკის გაჯანსაღებას.

პოლიტგანყოფილება უწინარეს ყოვლისა შეუდგა მზეთავის მუშაობის გაუმჯობესებას, რომელიც წინათ ასრულებდა „ავარიათა და მარცხთა ორგანიზატორის“ როლს.

თავის პარტიულ - მასობრივ მუშაობაში პოლიტგანყოფილება და პარტორგანიზაციები საგრძნობ ყურადღებას აქცევდენ შრომის დისციპლინის განმტკიცებას და დისციპლინარული წესდების დანერგვას.

განყოფილების მუშაობაში მტკივნეულ ადგილს წარმოადგენს ქვანახშირის და მარგანეცის დატვირთვის გეგმის შეუსრულებლობა. ამ საკითხში განყოფილების მუშაობა ბევრად არის დამოკიდებული ტყიბულის მაღაროების სამმართველოზე და მარგანეცის ტრესტზე.

ამასთან ერთად განყოფილება ჯერ კიდევ ვერ ასრულებს ხახკომსაბჭოს და საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის მიერ დასმულ ამოცანას — ისე მოვაწყოთ მუშობა, რომ „რკინისგზის ტრანსპორტი მუშაობდეს ზუსტად და შეუფერხებლად, როგორც საათის მექანიზმი“.

ასე, მაგალითად, 1934 წლის აპრილში ცხრილის მიხედვით არ დადიოდა საქონლის მატარებელთა 12,7 პროცენტი, რომელშაც უბნებზე ვადარბენისას დაიგვიანეს 16.464 წუთით. მაისის ვაგონების საერთო მიმოქცევისთვის განყოფილების ფარგლებში დაგვალებით გათვალისწინებული იყო 1,9 დღე-ღამე, ნამდვილად კი იგი უდრიდა 2,0 დღე-ღამეს. იმავე მაისში კომერციული სიჩქარე, დაგვალებით გათვალისწინებულ 15,8 კილომეტრის მაგივრად, შეადგენდა 13,46 კილომეტრს.

განყოფილების პარტორგანიზაციების მთელი ყურადღება ამჟამად უნდა მიექცეს ბრძოლას მუშაობის ხარისხისათვის.

ტ. ნესტერეაშვი
I განყ. პოლიტგანყოფ. უფროსი

დისპეტჩერის მუშაობას—ზუსტი აღრიცხვა

აქამდე არა მარტო (ალკეულ დისპეტჩერებზე, არამედ სერთოდ დისპეტჩერთა ცვლის მუშაობაზეც წარმოდგენა არ გვქონდა. ამით შეუძლებელი ხდებოდა მათი მუშაობის შეფასება. ერთი სიტყვით, ამ დიდსა და პასუხსაგებ საქმეში ნამდვილი გაუპიროვნება იყო.

ბაქოს დისპეტჩერმა ამხ. კონკოვმა გამოძებნა საშუალება, ამ გაუპიროვნების აღმოსაფხვრელად. ეხ შემოიღო დისპეტჩერის მუშაობის აღრიცხვის ახალი სისტემა. როგორც ამხ. კიკნაძემ სადგურში, ისე დისპეტჩერშა კონკოვმა სადისპეტჩეროში კომანდირის მიერი მუშაობა დამახასიათებელ ობიექტებად დანაწილა. ეს ობიექტებია: — სამგზავრო მატარებლის გაშვება განრიგების მიხედვით, ნავთის, მშრალ ტვირთიანი, და ამკრეფი მატარებლების კომერციული სიჩქარე, მატარებელთა საშუალო მოცდენა გაფუსრიგებელთა სადგურებზე, მატარებელთა საშუალო მოცდენა ძირითად და მოსაბრუნებელ დეპოების სადგურებზე, მატარებლების გადაჭრა სადგურებზე დისპეტჩერების მიზეზით, ან მის მიერ დროის მოგება რთულ შემთხვევებში. თვითეული მაჩვენებლის შესრულების შეფასება ხდება საათანადო ნიშნებით (ბალების სისტემა) საზოგადოთ შესრულების ხარისხის მიხედვით.

სადღეღამისო მორიგეობის შეფდეგ შესრულებული მოძრაობის გრაფიკის ანალიზის საშუალებით, უფროს დისპეტჩერს გამოჰყავს თვითეული სელექტორის მუშაკის ნიშანთა რაოდენობა და შ[illegible]ის აღრიცხვის ფურცელზე, [illegible] კამოყოლილნა სადისპეტჩ[illegible]

ამხ. კონკოვის [illegible]ქის განყოფილებამ [illegible] მარტიდან ოთხ სადგ[illegible]ში. მისმა განხორციელ[illegible] ყველა ტიპი ითამაშ[illegible]ფილების მუშაობაში.

ვაგონების საშუალო [illegible]ხო გარბენა 130,2 კილომ[illegible] გაიზარდა 158,4

საგანგაშო მდგომარეობა ჩაის კრეფის ფრონტზე

გადავისროლოთ მთელი ჩვენი ძალები ჩაის კრეფაზე

ივლისი სწყვეტს ნღიური გეგმის ბედს

ჩაის კრეფის სეზონის დაწყებიდან 1 ივლისამდე საქართველოში უნდ მოკრეფილიყო 2.738.200 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი. „საქ. ჩაის ცნობების მიხედვით 1 ივლისისათვ ფაქტიურად მოკრეფილია 2.517.19 კილოგრამი და ამნაირად გეგმა შ რულებულია მხოლოდ 91,9 პროც.

ჩაის საფაბრიკო რაიონების მიხ ვით მოკრეფილია

საფაბრიკო რაიონები	მოკრეფილია კილოგრამებში	გეგმის შესრულება პროც.
სალიბაურის	158.186	
ჩაქვის	215.704	108.2
ბობოყვათის	180.913	106,3
ხუცუბნის	175.855	101
ნატანების	74.084	100.1
შრომის	94.494	70.8
ოზურგეთის	482.802	91.6
მაღალ-ეწერის	145.445	101.6
აცანის	179.325	93.4
ნიგვზიანის	112.367	68.9
ჩოხატაურის	76.098	90.5
ხონის	2.545	57 8
უშაფათის	59.325	77
დიდი ჭყონის	64.860	84.7
ზუგდიდის	164.254	81.5
წალენჯიხის	47.203	92
გალის	136.991	94.6
ახალ ხიბულის	3.833	36 ח
ჩხოროწყუს	21.727	99,3
კოდორის	19.040	92
ოკრიბის	2.142	40,4

ამრიგად მაისს-ივნისისათვის გათვ ლისწინებული ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის გეგმა მხოლოდ ჩაქვის, ბო ბოყვათის, ხუცუბნის, ნატანების დ მაღალ ეწერის საფაბრიკო რაიონებმა შეასრულეს. დანარჩენ რაიონებ ძი

ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა აჩიგვარას საბჭოთა მეურნეობაში

გეგმა შეუსრულებელია. გასაკვ ირო ჩამორჩენილი არიან ახალ ხიბუ ლის, ოკრიბის, ხონის, ნიგზიანის რაიონები.

უფრო ცუდი მდგომარეობაა მი რეფილი ჩაის ხარისხის მხრივ. დაწე სებული სტანდარტის მიხედვით ა �ელი ხარისხის უნდა იქნეს მოკრ ფილი მწვანე ფოთლის არა ნაკლ 90 პროცენტისა. მაისსა ივნის პირველი ხარისხის ჩაი მოკრეფილ რაოდენობის 75,3 პროცენტს არ აღემატება.

სტანდარტით გათვლისწინებული ჩაის ხარისხი მაისსა და ივნის მხოლოდ ჩაქვის, ბობოყვათის და ხუ ცუბნის საფაბრიკო რაიონებს, ა დაცული. ჩაქვის საფაბრიკო რაიო პირველი ხარისხი მიღებულია მოკრეფილი ჩაის მთელი რაოდენო ბის 90,1 პროც., ბობოყვათის ს ფაბრიკო რაიონში 90,4 პროც. და ხუცუბნის საფაბრიკო რაიონში 95.4 პროც. დანარჩენ რაიონებშ მოკრეფილი ჩაის ხარისხი დაბალია სახელდობრ სალიბაურის საფაბრიკ რაიონში პირველი ხარისხის ჩაი შე ადგენს 87,3 პროცენტს. ნატანების რაიონში—63,1 პროც., შრომის — 68,5 პროც., ოზურგეთის—65 პროც. ალალ-ეწერის—80,5 პროც., აცანის —71,1 პროც., ნიგზიანის—46.7 პროც., ჩოხატაურის—37,3 პროც , ხ ნის—41.5 პროც., უშაფათის—71.7 პროც., დიდი ჭყონის—86,9 პროც ზუგდიდის—62,1 პროც., წალენჯიხ —45,2 პროც., გალის—77 პროც. ახალ ხიბულის—82,8 პროც., ჩხორო წყუს—77,6 პროც., კოდორის—65,7 პროც., და ოკრიბის საფაბრიკო რა ონში—80 პროც.

ამრიგად ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა ძალზე არადამაკმაყოფილებ ლად მიმდინარეობს როგორც რაოდე ნობის, ისე ხარისხის მხრივ. ეს გარე მოება აშკარა საფრთხეს უქმნის წლიური გეგმის შესრულებას.

ივნისის პირველ ნახევრამდე ადგი ლებზე აცხადებდენ, რომ გვალვების ო ცხელი ქარის გამო ჩაის ყლორტ ელ. იზრდება დ ხარისხიც დაბალ აქვს.

ახლა ეს მიზეზი აღარ არსებობ. უკანასკნელი წვიმების შემდეგ ყლო ტ ს ზრდა ჯ დაჩქარდა და ხ ი ... გაუმჯობესდა. და სადაც კრეფა წ ... ერად არის დაყენებული, გა ... რაოდენობით შესრულებასთან ერ თად ხარისხიც დაცულია. ამის ხა თელ ილუსტრაციას ჩაქვის საფაბრი კ რაიონი იძლევა. 15 ივნისისთვის აქ შესრულებული იყო კრეფის გე გმის მხოლოდ 27,7 პროც. და პირ ველი ხარისხის ჩაი 90 პროც. ხაცვ ლად მთელი მოკრეფილი რაოდ ობა 72,1 პროც. არ აღემატებოდა ივნისის მეორე ხ ... ჩაქვარში მდგომარ ობა რადიკალურად შეიცვალა: 1 ი ლისისათვის ჩაის საფაბრიკო რაიონს გეგმა შესრულებული აქვს 102 პროც. და პირველი ხარისხის ჩა საფაბრიკო რაიონის მასშტაბით მო კრეფილი რაოდენობის უკვე 96 პროც. შეადგენს.

ასევე გაუმჯობესდ მდგომარ ობოყვათის საფაბრიკო რაიონში.

დასკვნა. ჩაის კოეფაში ჩვენ გვაქვს უაღრესად დაჭიმული მდგო მარეობა. ეს გრემობა გამოჭრით. კატეგორიულად მოითხოვს ჩაის რა ონების ხელმძღვანელ ორგანიზაც ებისაგან, ჩაის მეურნეობათა ხელმ ძღვანელებისაგან. რათა მთელი ძალ ები მასიურად გადაისროლონ ჩაის კრეფაზე, აწარმოონ ის განუწყვეტ ლივ, გაზარდონ თითეული მკრეფ ვის პასუხისმგებლობა, **გადაჭარ გებით** შეასრულონ ივლისის გეგმ ა ამას გარდა ყოველ მიზეზს გარ შე მთლიანად დაფარონ მაის-ივნისის გეგმების **დანაკლისიც.** მხოლოდ ივლისის ასეთი შედეგებით უზრუნ ველყოფთ გამარჯვებას. **ივლისი სწყვეტ გეგმების შესრულების ბედს.**

მაისის და ივნისის დანაკლისი ივლისში უნდა დაიფაროს

(ოზურგეთი, ჩვენი საკ. კორესპონდენტისაგან)

ჩაის ფოთლის კრეფის დაუშვებ ლად გაქიანურების. კრეფის აგრო წესების დარღვევის და არსებულ შესაძლებლობათა არა მაქსიმალუ რად გამოყენების შედეგად ოზურ გეთის რაიონმა ფოთლის კრეფის მაისის გეგმა ვერ შეასრულა. — 532310 კილოგრამის ნაცვლად მოიკრიფა 485008 კილოგრამი.

მდგომარეობა ივნისშიც არ შეცვლილა. პირველი 25 დღის განმავ ლობაში მოიკრიფა 166414 კილო გრამი ფოთოლი, რაც შეადგენს ივ ნისის გეგმის 46,7 პროცენტს. ზო გიერთი საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების ხელმძღვანელი ამხანაგები ამ ჩამორჩენის ფოთ ლის მოუმწიფებლობით ხსნიან, რაც სიმართლეს არ შეეფერება. თვითმდინარება, შრომის მოუწეს რიგებლობა და სუსტი ხელმძღვანე ლობა — აი ჩამორჩენის მიზეზები.

პარტიკომმა და სამ. - სატ. სადგურის პოლიტგანყოფილებამ თავის დროზე ვერ მიიღეს საჭირო ზომები კრეფაში თვითმდინარების აღსაკვეთად.

მდგომარეობას ნაწილობრივ გა მოსწორება დაეტყო 24 ივნისიდან საქმეში მხოლოდ ამხ. ლ. ბერიას ჩა რევის შემდეგ. რაიკომმა და პო ლიტგანყოფილებამ მობილიზაცია უყვეს რაიონის 39 პასუხისმგებელ ამხანაგს და მიამაგრეს ისინი საბჭო თა მეურნეობების და კოლმეურნეო ბების გადამწყვეტ უბნებზე. 25 ივნისიდან გამოცხადდა ჩაის კრე ფის გადამწყვეტი ხუთდღიური, რამაც კარგი შედეგი მოგვცა. 25 ივნისს მთელს რაიონში მოიკრიფა 17.223 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, 26 ივნისს — 27958 კილო, 27 ივ ნისს — 25000, 28 ივნისს — 25188, 29 ივნისს — 21694 და 30 ივნისს — 31000 კილოგრამი. ამ რიგად, 6 დღის განმავლობაში მოი კრიფა 148.556 კილოგრამი ფოთო ლი, იმ დროს, როცა 25 დღეში (1—25 ივნისამდე) მოკრეფილი იყო მხოლოდ 166.414 კილოგრამი.

მიუხედავად 6 დღის განმავლო ბაში მუშაობის ტემპების გაუმჯო ბესებისა, ოზურგეთის რაიონი ჩაის კრეფაში მაინც ჩამორჩენილია.

კრეფაში განსაკუთრებით ჩამორ ჩა **ლაითურის** საბჭოთა მეურნეობა, რომელმაც სახელმწიფოს წარსული ორი თვის განმავლობაში დააკლო 13.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, ხოლო ერთპიროვნულ მეურნეობა თა ხაზით დანაკლისი შეადგენს 40.000 კილოს.

ლაითურის საბჭოთა მეურნეობის დირექციამ ვერ შესძლო მუშათა მუდმივი კადრების დამაგრება, ინ დივიდუალური სარგებლობაში არ სებული პლანტაციები კი უმეტეს შემთხვევაში უყურადღებოდაა ში ტოვებული.

ახლა ამოცანა ის არის, რომ **მაისს და ივნისის დანაკლისი ყოველ მიზეზს გარეშე დაიფაროს ივლისში ამ თვის გეგმის მთლიანად შესრულ ებით.**

საჭიროა რაიონის პარტიულმა, საბჭოთა ორგანიზაციებმა და პო ლიტგანყოფილებამ კიდევ უფრო გააძლიერონ ადგილებისადმი ოპე რატიული ხელმძღვანელობა და უზრუნველყონ ჩაის ფოთლის კრე ფის გეგმის როგორც რაოდენობ რივი, ისე ხარისხობრივი მაჩვენებ ლების მთლიანად შესრულება.

ჩაის პლანტაციების თოხნა საგჯ. მეურნეობებში

(„საქ. ჩაის“ ცნობების მიხედვით)

ჩაის პლანტაციების მეორე თოხნა 1 ივ ლისისათვის უნდა დამთავრებულიყო. ამ რიცხვისათვის ჩაის საბჭოთა მეურნეობებს ფაქტიურად გათოხნილი ჰქონდათ 5.413,6 ჰექტ., პლანტაციების 68,9 პროც.

მეორე თოხნის გეგმა შესრულებული აქვთ სალიბაურის, ჩაქვის, ოჩხამურ ის, ნასაკირალის, ნატანების, დიდი ჭყონის და ლესაჩინეს ჩაის საბჭოთა მე ურნეობებს.

ყველაზე უფრო ჩამორჩენილი არიან აჩი გვარის (მეორეთ გათოხნილი ჰქონდა პლა ნტაციების 10,8 პროც.), წალენჯიხის (32,7 პროც.), ბოლნისის (35,1 პროც.), ზო ლიჯიანის (51,1 პროც.), ლაითურის (59,4 პროც.), ნარაზენის (62,8 პროც.) და კოდორის (74,9 პროც.) საბჭოთა მე ურნეობებში.

წალენჯიხის საბჭოთა მეურნეობას 25 ივ ნისამდე შემდეგ პლანტაციების თოხნის შესა ხებ ცნობები არ გადმოუგზავნია.

საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის დადგენილება

ამიერ-კავკასიის რკინისგზის ვაგზლების კეთილმოწყობის შესახებ

ხაკ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტმა განიხილა ამიერ-კავკასიის რკინისგზის ვაგ ზლების კეთილმოწყობის საკითხი. ა.-კ. სამხარეო კომიტეტმა აღნიშნა, რომ ა.-კ. რკინისგზის ტვირთნაგზავნის გეგმის შესრუ ლებისათვის შემდგომ ბრძოლასთან ერთად რკინისგზის ტერიტორიალური პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების უმნიშვნელო ვანეს ამოცანას წარმოადგენს გზის სავაგზა ლო მეურნეობის მოყვანა კულტურულ წეს რიგში და მგზავრთა კულტურული მომსა ხურეობის მთელი საქმის გაუმჯობესება.

იმის გამო, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზა მომსახურებას უწევს მოაგარაკეთა და ტურისტთა დიდძალ მასებს; მათი კულტუ რული მომსახურეობის ამოცანას გზის მხრივ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს.

ა.-კ. სამხარეო კომიტეტმა დაავალა ა.-კ. რკინისგზის საამმართველოს ორი თვის ვა დაში—პირველ სექტემბრისათვის მოიყვა ნოს კულტურულ მდგომარეობაში შემდეგი სადგურების ვაგზლები: ერევნის, ბათომის, ლენინაკანის, ქუთაისის, სამტრედიის, განჯ ის, ეკალახის, აჯიკაბულის, ხაშურის, გო რის, ხაჩმასის, კარაკლისის და ჯულფის.

ა.-კ. სამხარეო კომიტეტმა მიიღო ცნობ ად გზის უფროსის ამხ. როზენცვეიგის გან ცხადება იმის შესახებ, რომ აღნიშნული ვაგზლების კეთილმოწყობისათვის გზის სამ მართველო გამოყოფს 1.800 ათას მანეთს.

წინადადება მიეცა ერევნის, განჯის, ქუ თაისის და ლენინაკანის საქალაქო საბჭოებს, ნახიჩევანის ცაკს, აჭარისტანის ცაკს და ხაჩ მასის, გორის, ეკალახის, ალიბაირამლის და ტფილისის და ბაქოს საბჭოების პასუხის ტ ი ... ტერიალური მონაწილეობა მიი ღონ ვაგზლების და სავაგზლო მოედანთა კეთილმოწყობის სამუშაოების გაგარებაში.

თავის დადგენილებაში ა.-კ. სამხარეო კომიტეტი სცნობს, რომ ტფილისის ვაგზა ლი—ა.-კ. ფედერაციის დედაქალაქის ვაგზა ლი—და ბაქოს ვაგზალი პირველ რიგში უნდა იქნან მოყვანილნი ნამდვილ სანიმუშო მდგომარეობაში და ავალებს გზის უფროსს 15 აგვისტოსათვის დაამთავროს მთელი მუ შაობა მათი კეთილმოწყობისათვის. ა.-კ. სამხარეო კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს ტფილისის და ბაქოს საბჭოების პასუხის მგებლობას ვაგზლების კეთილმოწყობისათ ვის და ავალებს მათ უშუალო მატერიალ ური მონაწილეობა მიიღონ ვაგზლების და სავაგზლო მოედნების კეთილმოწყობის სამუშაოების ჩატარებაში.

ა.-კ. სამხარეო კომიტეტი დიდ მნიშვნე ლობას ანიჭებს ერევნის, ბათომის, ლენინაკა ნის, ქუთაისის, ხაშურის, ზესტაფონის, ბაკურიანის, ბორჯომის, ბაკურიანის, ბორჯომის, ბაკურიანის, ბორჯომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლხიდმშენი

კოლხიდმშენის სამუშაოები დღეს

(საუბარი კოლხიდმშენის უმფროს ამხ. ბ. გოგიასთან)



ფოთი, ივნისი. კოლხიდმშენის სამუშაოთა მიმდინარეობის შესახებ ჩვენ სპეციალურ კორესპონდენტებთან საუბარში კოლხიდმშენის უფროსმა ამხ. **ბესარიონ გოგიამ** განაცხადა შემდეგი:

— მიწის სამუშაოები კოლხიდმშენში გაძლიერებული ტემპებით მიმდინარეობს. 1934 წლის პირველ ივნისამდე მიწის სამუშაოების გეგმა ასეთ სურათს იძლევა: შესრულებული იყო ხელით მუშაობის გეგმა 144,7 პროცენტით, მექანიზმებით მიწის ამოღების გეგმა 73,3 პროცენტით, ამოძირკვის გეგმა — 80,3 პროც., საშუალოდ (ხელით და ექსკავატორებით მიწის სამუშაოების გეგმა შესრულებულია 113,3 პროცენტით.

ამრიგად კოლხიდმშენის სამუშაოებზე მთავრობის დადგენილებათა შესრულების დარგში ყველაზე **ვიწრო ადგილს წარმოადგენს მექანიზმების გამოყენების საქმე.** კოლხიდმშენის 8 სამუშაო უბნიდან უკანასკნელ ხანებამდე ვერც ერთი უბანი ვერ ასრულებდა მექანიზმებით (ექსკავატორები, მიწის მთხრელები) მუშაობის გეგმას და ეს მაშინ, როდესაც მიწის სამუშაოებს ხელით თითქმის ყველა 8 უბანი ასრულებს მთლიანად და გადაჭარბებითაც.

თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ შემდეგში მთელი მიწის სამუშაოების 70 პროცენტზე მეტი კოლხიდმშენის სისტემაში შესრულებული უნდა იქნას მექანიზებული წესით, მაშინ ცხადი გახდება ის უდიდესი მნიშვნელობა, რომელიც აქვს მიწის მთხრელ აგრეგატების შეუფერხებელ და სრული დატვირთვით მუშაობას,

მექანიზებული წესით მიწის სამუშაოთა დაგვალების შეუსრულებლობა უმთავრესად აიხსნება **სამი ძირითადი მიზეზით.** ეს მიზეზებია: ექსკავატორებსა და მიწის მთხრელებზე სათანადო მომზადებული **კადრების** (მექანიკოსები, მემანქანეები, მოტორისტები) უყოლობა, სათანადოთ მოწყობილი **სარემონტო სახელოსნოს** უქონლობა და **სათადარიგო ნაწილების** სიმცირე იმ აგრეგატებისათვის, რომლებიც შემოტანილია საზღვარგარეთიდან.

კოლხიდმშენის განკარგულებაში არსებულ **21 ექსკავატორიდან ამჟამად მუშაობს 11.** დანარჩენი შეკეთებაშია. მიმდინარეობს ზოგიერთი ექსკავატორის რეკონსტრუქცია ადგილობრივი პირობებისა და საჭიროების მიხედვით.

— მექანიზმების მუშაობას — განაგრძობს ამხ. გოგია — აფერხებს ისიც, რომ დღემდე ჩვენ არ გვქონდა **ერთიანი პარკი,** რომელიც გააერთიანებდა და ხელმძღვანელობას გაუწევდა მთელი მექანიკური წევის ძალის მომარაგების, რემონტისა და ექსპლოატაციის საქმეს. უკანასკნელად ჩვენს მიერ მიღებული ზომები მექანიზაციის პარკის მოსაწყობად. სათანადო მუშაკები უკვე მოწვეულია და დაწყებულია სერიოზული მუშაობა ამ მიზნით.

დაფინანსების მხრით წელს რაიმე სერიოზული შეფერხებას ადგილი არ ქონია. მეორე კვარტალის დავალებათა შესრულებისათვის ჩვენ სულ უნდა მიგვეღო 3 მილიონ 500 ათასი მანეთი. აქედან უკვე მიღებული და ათვისებულია 2 მილიონ 900 ათასი მანეთი, მიღებული გვაქვს ცნობა იმის შესახებ, რომ დარჩენილი 600 ათასი მანეთიც გადმოგზავნილია სათანადო დამფინანსებელ ორგანოების მიერ.

— მიწის სამუშაოების მიმდინარეობასთან ერთად — აცხადებს ამხ. გოგია,—მწვავედ ისმება იმ **ფართობების ათვისების** საკითხი, რომელიც უკვე ამოშრობილია. მიმდინარე წლის დასასრულს ამოშრობა დამთავრებული და ასათვისებლად გადაცემული იქნება სულ 15.000-მდე ჰექტარი ფართობი. აქედან ათვისებულია 7.000 ჰექტარი, ასათვისებელი იქნება 8.000 ჰექტარამდე.

კოლხიდმშენის დაშრობილი ფართობის ათვისება უაღრესად სერიოზული საკითხია. საქმე იმაშია, რომ მარტო მიმდინარე წელს დაშრობილ ადგილებში უნდა მოეწყოს არა ნაკლებ 1000 მეურნეობისა. ეს კი მოითხოვს დიდ მუშაობას, როგორც კოლხიდმშენის, ისე განსაკუთრებით იმ რაიონების მხრივ, რომელთა ტერიტორიაზეც ხვდება დაშრობილი ადგილები.

იმისათვის, რომ წარმატებით იქნას გადაჭრილი დაშრობილი ფართობის ათვისების საკითხი საჭიროა იქნება დამატებით კრედიტი არა ნაკლებ 500 ათასი მანეთისა. ეს თანხა უმთავრესად მოხმარდება ათვისების დარგში ყველაზე უფრო მძიმე სამუშაოებს.

გარდა ამისა კოლხიდის დაშრობილ ფართობზე გადმოსახლებულთათვის მომსახურეობის გასაწევად მოეწყობა სამანქანო-სატრაქტორო სადგურები.

ივლისის პირველ რიცხვებში ფოთში მოწვეულია პარტიული თათბირი კოლხიდის დაშრობილი ფართობების ათვისების საკითხებზე. ამ თათბირზე დეტალურად იქნება დამუშავებული ყველა ის ღონისძიებანი, რომელიც ახალი ფართობის ათვისებას, გადმოსახლებულთა მომსახურეობას და მათთვის სათანადო შედავათების მინიჭებას შეეხება. ახლო მომავალში ყველა რაიონს მიემგზავრება ამოშრობილი ფართობის გარკვეული რაოდენობა. ამ რაიონიზაციების ვალია მტკიცედ მოკიდონ ხელი დაშრობილი ადგილების გამოყენების საქმეს და გვიჩვენონ მისი ეფექტიურად ათვისების ნიმუშები.

— არის კიდევ ერთი სერიოზული ამოცანა, რომლის გადაჭრაც მოუხდება კოლხიდმშენს უახლოეს მომავალში, ესაა **რიონის გადაგდების საკითხი.**

საკავშირო მთავრობის დადგენილების თანახმად ფოთიდან 12 კილომეტრის დაშორებით რიონისათვის გაიჭრება დიდი არხი, ეს არხი შეუერთდება მდინარე „ნაბადას", რომელიც ყულევსა და ფოთს შუა გადის და რიონი შეერთვის ზღვას ნაბადა წყალის გაფართოვებული კალაპოტით.

მთელი ამ სამუშაოების ტექნიკური პროექტი მთავრობის სადირექტივო ორგანოებში წარდგენილი უნდა იქნას ივლისის პირველ რიცხვებში. ივლისში პროექტი საბოლოოდ დამტკიცდება და **აგვისტოდან კი დაიწყება არხის გათხრა.**

ამჟამად რიონის გადასაგდებად მიმდინარეობს მოსამზადებელი მუშაობა. უკვე მიღებულია ერთი მილიონი 600 ათასი მანეთი იმ 5 მილიონი მანეთიდან, რომელიც სულ უნდა დაიხარჯოს რიონის გადაგდებაზე.

რიონის ახალი არხის გათხრა და ამ არხის სათავესთან დიდი ხიდის აგება დამთავრდება 1935 წელს. ამ სამუშაოთა დამთავრების შემდეგ ე. ი. 1936 წლის იანვრიდან დაიწყება რიონის ძველი კალაპოტის გაღრმავება ფოთის ბასეინში პირველ-ხარისხოვანი შინანავთსადგურის მოსაწყობად.

რიონის გადაგდება მთავრობის დადგენილებით შეტანილია დაკვრითი მშენებლობათა რიცხვში და ეს სამუშაოები დამთავრებული უნდა იქნეს დაკვრითი წესით ზუსტ ვადებში.

წელსვე იწყება დიდი მაგისტრალური არხის გასათხრელად სამუშაოები რიონის მარცხნივ სანაპიროებზე — ლანჩხუთის რაიონში. საჯევახოდან არხი გაივლის ლანჩხუთის ახლო და მალთაყვანასთან შეუერთდება ზღვას. არხის სიგრძე იქნება 40 კილომეტრი. ამ არხის გათხრაზე იმუშავებს სამი მიწის მთხრელი და ერთი ექსკავატორი.

კოლხიდის დაბლობის მთელი დაჭაობებული სივრცე 214.000 ჰექტარს უდრის. ამ ფართობის ამოშრობა უნდა დამთავრდეს მესამე ხუთწლედში, სახელდობრ, 1941 წელს და ამ სამუშაოზე დაიხარჯება 500 მილიონი მანეთი.

მიმდინარე წლის ბოლოს ამოშრობა დამთავრებული და ასათვისებლად გადაცემული იქნება 15.000 ჰექტარი, აქედან 7.000 ჰექტარი უკვე ათვისებულია.

კოლხიდმშენის სამუშაოებში განსაკუთრებული ყურადღების ღირსია რიონის გადაგდების საკითხი. ფოთიდან 12 კილომეტრის დაშორებით რიონისთვის გათხრილი იქნება ახალი კალაპოტი, ძველი კალაპოტი კი გაღრმავების შემდეგ გამოყენებული იქნება შინანავთსადგურის მოსაწყობად. რიონის ახალი კალაპოტის გათხრა დაიწყება აგვისტოდან და დამთავრდება 1935 წელს.

სურათზე: ჭაობიანი ადგილები; კოლხიდმშენის გაუშრობელი უბანი.

არხის განი იქნება 57 მეტრი. ნაწილობრივ ეს არხი გამოყენებული იქნება ნაოსნობისათვისაც.

ამ დიდი მაგისტრალური არხის დანიშნულება მდგომარეობს შემბი და დაშროროს რიონის დაბლოდეგში: მიიღოს ჭაობებიდან წყლები გურიის მხარეს 50.000 ჰექტარზე მეტი ფართობი. ეს სამუშაოები მეტად დიდმნიშვნელოვანია როგორც თავის წასიათით, ისე მოცულობით. განზრახულია არხის დამთავრება უახლოეს 2—3 წლის განმავლობაში.

ამით დასრულდება რიონით დაჭაობებული მთელი დაბლობის ამოშრობა დაახლოვებით 100 ათას ჰექტარზე. (რიონით დაჭაობებული ადგილების ამოშრობა სწარმოებს სხვა რაიონებშიც).

მიმდინარეობს მუშაობა **ხობის** წყალის მარჯვენა მხარის გასაგრძელებლად მაღალი დამზებით, რის დამთავრების შემდეგაც **უზარმაზარ** ადგილებზე — **ამ უდიდესი მასივის ამოშრობასა და ათვისებაზე დაიხარჯება დაახლოებით 500 მილიონი მანეთი.**

პარტია და ხელისუფლება არიშურებს საშუალებებს და ენერგიას იმისათვის, რომ ეს მშენებლობა წარმართულ იქნეს დამკვრელური ტემპებით. საჭიროა ადგილობრივ ორგანიზაციებმა მეტი დახმარება აღმოუჩინონ კოლხიდმშენს მუშახელისა და პარტიული ძალების მიწოდებით. დღემდე პარტიულ ძალებს კოლხიდმშენს უმთავრესად აძლევს მხოლოდ **ფოთის** ორგანიზაცია. საჭიროა სხვა რაიონებმაც, რომლებიც შედიან კოლხიდის დაბლობების ზონაში, აღმოუჩინონ მეტი კონკრეტული დახმარება კოლხიდმშენს.

ჩვენ კი ჩვენის მხრივ ვიღებთ ყველა ზომას იმისათვის, რომ მთელი კოლხიდმშენის ყველა სამუშაო დავამთავროთ მესამე ხუთწლედში, სახელდობრ 1941 წელს.

განვამტკიცოთ კოლხიდმშენის პირეული პარტორგანიზაციები

(ჩვენი საკ. კორესპონდენტისაგან)

მთელს კოლხიდმშენის სისტემაში სულ 150 კომუნისტი და 180 კომკავშირელი ირიცხება. თუ მივიღებთ მხედველობაში კოლხიდმშენის სამოქმედო ტერიტორიის სიდიდეს, სამუშაო ობიექტების დაჭასასულობას და ცალკე სამუშაო უბნების მასშტაბს, დღემდე არ ყოფილან მიმაგრებული. მესამე ექსკავატორ „კლიმაჭაზე" კომუნისტები ირიცხებიან, მაგრამ ფაზიკურად არც ერთი რ მუშაობს.

ყორათის პარტორგანიზაცია ძლიერ სუსტ ყურადღებას აქცევს წარცალკე სამუშაო უბნების მასშტაბს, მოების საკითხებს. იყო ასეთი ფაქტი:



„მეიკის" სისტემის ექსკავატორი კოლხიდმშენის სამუშაოზე.

მაშინ თამამად შეიძლება დავასკვნათ, რომ კომუნისტების და კომკავშირელების ზემოხსენებული რაოდენობა აშკარა არასაკმარისია.

კოლხიდმშენის სამუშაოებში კომუნისტების ჩაბმის მხრივ დღემდე მხოლოდ ფოთის პარტიულ ორგანიზაციაში გვაქვს შედარებით უკეთესი მდგომარეობა. იმ 150 კომუნისტიდან, რომლებიც კოლხიდმშენის სისტემაში მუშაობენ, დაახლოვებით 100 კაცი ფოთის ორგანიზაციიდანაა. 50 კომუნისტი კი ნაწილდება კოლხიდმშენის ზონაში შემავალ დანარჩენ 6 რაიონზე.

კოლხიდმშენის ცალკე სამუშაო უბნებზე პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის შემოწმებიდან სჩანს, რომ კოლხიდმშენში ძალზე სუსტად არის დაყენებული პარტმასობრივი მუშაობა, სუსტია კომუნისტების ავანგარდული როლი.

ავიღოთ მაგალითად, ყორათის (ჭალადიდშია) სამუშაო უბანი (სამუშაოთა მწარმოებელი ვ. შუბლაძე, პარტკომის მდივანი გ. თოფურია) 14 კომუნისტიდან აქ უმუშაოდ წარმოებაში ფიზიკურად მუშაობს მხოლოდ 3. ყორათის უბანში დგას მძლავრი ექსკავატორი „მენკი" ამ მანქანაზე 17-დე კაცი მუშაობს, მანქანის სამუშაო ადგილი უბნის ცენტრიდან დაშორებულია 12 კილომეტრით, აქ კი არ ირიცხება **არც ერთი** კომუნისტი და **არც ერთი** კომკავშირელი.

ექსკავატორ „მენკზე" მომუშავეებს თვეში ორჯერაც არ მისცემთ გაზეთები. მუშებს შორის არ სწარმოებს მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. მართალია მუშკომის თავმჯდომარე ამხ. **გ. ხორავა** ხანდახან ჩამოუვლის ამ ექსკავატორის მუშებს. მაგრამ მხოლოდ ჩამოუვლის. ასეთი დამოკიდებულებით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ დამკვრელი მუშები, რომელთაც კოლხიდმშენზე ორი წლის მუშაობის სტაჟი აქვთ დღემდე აო ირიცხებიან პროფკავშირში.

ექსკავატორ „მენკის" მუშებმა შემოგვიჩივლეს:

— ექვსი თვეა განცხადება გვაქვს შეტანილი პროფკავშირში მილებიის შესახებ, წიგნაკებს არ გვაძლევენ. არც რაიმე პასუხს გვაძლევენ გახცხადებაზე. გთხოვთ აგვიხსნათ ისათას გავასაჩივროთ ამ უყურადღებობის შესახებო.

იმავე ყორათის უბანში დგას მეორე დიდი ექსკავატორი „ლიუბიკი". 14 კაცი მუშაობს აქ და კომუნისტები და კომკავშირლები ამ მანქანაზე მიწისმთხრელი ერთი ადგილიდან უნდა გადაეტანათ მეორეზე. კომკავშირელმა **გრ. ხარბედიამ,** რომელიც ამ მიწისმთხრელის ბრიგადირად ითვლება, გადამალა ტროსი ურიკლისოდაც, შეუძლებელია მიწისმთხრელის ადგილიდან დაძვრა. მანქანაზე ერთი კვირა გაცდა. ბოლოს ტროსი ეპოვეს. ყველაფერი გამოირკვა, დამნაშავე ხარბედიაც გამომჟღავნებულია, მაგრამ რატომღაც არც პარტკომს და არც კომკავშირის ადგილობრივ ორგანიზაციას არ დაუყენებიათ საკითხი ხარბედიას დანაშაულებრივი მოქმედების შესახებ.

სოფ. პირველ ხორგაში 30 კაცი მუშაობს, აქ ერთი კომუნისტი ირიცხება მაგრამ არა წარმოებაში, არამედ სასადილოს გამგედ. ომულეშის პუნქტზე, სადაც 14 კაცი მუშაობს სრულიად არ ირიცხება არც ერთი კომუნისტი და კომკავშირელი.

ასეთ ფაქტს სენაკის უბანზეც აქვს ადგილი. მაგ. მძლავრ ექსკავატორზე რომიოიც ბრიგადირ დუბავიკის ხელმძღვანელობით მუშაობს და რომელსაც დაკისრებული აქვს დიდი სპასუხისმგებლო სამუშაო (ბოლალ დამბის გაკეთება რიონის სანაპიროზე ცივატეხურის რაიონში) არ ირიცხება არც ერთი კომუნისტი.

ასეთი მდგომარეობის მთომენა შეუძლებელია სათანადო რაიონულ კომიტეტებმა დაუყოვნებლივ უნდა მიიღონ ზომები კოლხიდმშენის ცალკე უბნების გასამაგრებლად მტკიცე შემოშენებული კომუნისტებით. ამასთანავე მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს კომუნისტების კანდელარიებიდან და „ბრძანებელი მაღლობებიდან" უშუალოდ წარმოებაში —

კოლხიდმშენის პირველადი პარტორგანიზაციების განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს წარმოებასთან დაკავშირებული საკითხების გადაჭრა-მოგვარებაზე ოპერატიულ ხელმძღვანელობას. ექსკავატორებისა და მიწის მთხრელების შეუფერხებელი მუშაობა, ავტოტრანსპორტის და ტრაქტორების რაციონალური გამოყენება, შრომის ორგანიზაცია ბრიგადებში, მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების სისტემატიური გაუმჯობესება პარტმასობრივი მუშაობის გაშლა მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებათა დამუშავება შესწავლა—აი რა უნდა იდგეს კოლხიდმშენის პარტორგანიზაციების ყურადღების ცენტრში.

სენაკის უბანი ჭოტინავეა

(ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან)

კოლხიდმშენის სენაკის სამუშაო უბანი (უბნის უფროსი ამხ. **პ. გაბუნია**) ერთერთ მოწინავე უბნათ ითვლება. ამ რაიონის ცივა-ტეხურის მასივში უკვე ამოშრობილია 3.000 ჰექტარამდე ფართობი და დამბებით დაჭაობებისაგან დაცულია 5 ათასი

კოლხიდმშენის სენაკის უბნის უფროსი ამხ. გაბუნია, სამაგალითო მუშაობისათვის მიღებული აქვს კოლხიდმშენის გარდამავალი დროშა

* *

ჰექტარზე მეტი მასივი. რაიონში მუშაობს ექვსი ექსკავატორი და ერთი მიწის მთხრელი.

მიმდინარე წელს კოლხიდმშენის სენაკის უბანმა პირველი და მეორე კვარტალის მიწის სამუშაოების გეგმა გადაჭარბებით შეასრულა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ 252 ათასი კუბ. მეტრისა ამოღებულ იქნა 330 ათასი კუბ. მეტრი მიწა. **მიწის სამუშაოების წლიური გეგმა რაიონს 20 ივნისისათვის შესრულებული ქონდა 66 პროც. ექვსი თვის გეგმა კი 131 პროც.**

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე წლის პირველ კვარტალში სენაკის რაიონი ვერ ასრულებდა მიწის სამუშაოების მექანიზებულ წესით შესრულების გეგმას. ეს გამოწვეული იყო მძლავრი ექსკავატორების დაზიანებით და მათი რემონტის გაჭიანურებით. მეორე ზმებით მიწის სამუშაოების შესრულებაში, არამედ გადაჭარბებით ასრულებს დავალებებს და ამგვარად ფარავს პირველი კვარტალის დანაკლისის ნაწილსაც.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ხელით სამუშაოების სისტემატიურად გადაჭარბებით და მაღალ ხარისხოვნად შესრულება, რისთვისაც სენაკის უბანს მიღებული აქვს **კოლხიდმშენის გარდამავალი დროშა.**

ამ წარმატებებს სენაკის უბნის ხელმძღვანელობამ მიაღწია ცალკე სამუშაოებზე კონკრეტულ-ოპერატიულ ხელმძღვანელობით. ავიღოთ მაგ. მუშა-ხელის შეგროვების საკითხი. ჩვეულებრივ მუშა-ხელის შეგროვების დროს დამქირავებელი ორგანიზაციები ნაკლებად ირკვევენ იმას, თუ როგორია თვითეული მუშა, რომელთანაც ისინი ხელშეკრულებას სდებენ. აქ კი ასე როდი ხდება. ის პირები, რომლებიც მუშა-ხელს აგროვებენ სვანეთში, წალკაში), დაწვრილებით სწავლობენ თვითეულ მუშას და იშვიათად ხდება, რომ ხელშეკრულების საფუძველზე შეგროვილი მუშებიდან ვინმე ზარმაცი და უხეიერო აღმოჩნდეს.

ზარმაცობისათვის აქ არ არის ნიადაგი. საკმარისია რომელიმე მუშამ ერთხელ, ან ორხელ **საპატიო მიზეზის გარეშე არ შეასრულოს დღიური გამომუშავების ნორმა, რომ მას ანგარიში გაუსწორონ და დაითხოვონ.**

სანარდო აქ ტარდება ზუსტად და ხარისხის მტკიცედ დაცვით. სოფ. ნოსირის უბანზე ჩვენ დავათვალიერეთ და შევამოწმეთ ხელით შესრულებული სამუშაოს ხარისხი. არხები აქ სასიამოვნო სანახავია. ჯერ ერთი რომ ისინი სწორი, სუფთა და წესისამებრ დაქანებულია. გარდა ამისა არხიდან ამოღებული მიწა ყველგან 20—25 სანტიმეტრით არის დაშორებული არხიდან, რომ აცილებული იქნეს მიწის ხელახლა ჩაცვენა არხში.

სოციალისტური შეჯიბრების, დამკვრელობის და მასობრივ - პოლიტიკური მუშაობის ნაყოფიერად წარმოებამ აქ თვალსაჩინო შედეგი გამოიღო **შრომის ნაყოფიერების** აწევის **მხრივ.** ჩვეულებრივ კოლხიდის კვარტალში რაიონმა სერიოზული მუშაობა ჩაატარა ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად მექანიზმების მუშაობაში. **20 ივნისისათვის მეორე კვარტალის გეგმა მექანიზმებით მიწის სამუშაოებისა რაიონს შესრულებული ქონდა 100,9 პროც.**

ამგვარად მეორე კვარტალში კოლხიდმშენის სენაკის უბანმა არა თუ გამოასწორა ჩამორჩენა მექანიზებულ სამუშაოებზე დღიური გამომუშავების ნორმა საშუალოდ ერთ კაცზე აწესებენ 3 კუბ. მეტრის ამოღებას. სენაკის უბანში კი **დღიურ ნორმათ დააწესეს 5 კუბ. მეტრი და ამ ნორმას მუშების უმეტესობა გადაჭარბებით ასრულებს.** ისეთი მუშებიც არა ერთი და ორია, რომლებიც დღიურად 8—10 კუბ. მეტრ მიწას იღებენ.

მთელ რიგ სხვა წამახალისებელ ღონისძიებებთან ერთად მუშებს აქ უკეთესად მუშაობის სტიმულს აძლევს კვების დამაკმაყოფილებლად დაყენება. ჭალადიდის უბანზე მუშებს ფაქტიურად ხორციანი საჭმელი თვეში 3—4 ჯერ თუ ეძლევათ, ნოსირის უბანში კი (სენაკის რაიონი) ხორციან საჭმელს მუშებს თვეში 13—14 ჯერ აძლევენ. გამოყოფილ საპრემიო ფონდი, დამკვრელ მუშებს ურიგდება პრემიები. პირველ და მეორე კვარტალში ფულითა და სამრეწველო საქონლით (ტანისამოსით) აქ დაჯილდოებული იქნა ორასამდე მუშა.

როგორც ზევით მოვიხსენიეთ კოლხიდმშენი სენაკის უბანი მეორე კვარტალში ასწორებს ჩამორჩენას მექანიზმებით მუშაობის დარგში, მაგრამ მიუხედავად ამისა აქ არის ზოგიერთი მექანიზმი, რომელიც ჯერ კიდევ ძალზე ჩამორჩენილია დავალებათა შესრულებაში. ასეთია მაგალითად ექსკავატორი № 56 (ბრიგადირი **გუგუშვილი.** ექსკავატორი ჩამორჩება შემდეგი მიზეზის გამო. არა აქვთ მომარაგებული მპალები და ხელსაწყოები, რომელიც აუცილებელია ექსკავატორის ერთი ადგილიდან მეორეში გადატანისათვის. საწვავი მასალის მომარაგებას გაიხსენებენ ხოლმე მაშინ, როდესაც ყოველივე მარაგი ამოწურულია. არის ეიმთხვევები, როდესაც შესაკეთებლად გაგზავნილი ნაწილები მზადაა, მაგრამ იგი დროზე არ მოაქვთ და ამით ექსკავატორი ცდება, მანქანის მოვლას, გაწმენდას არ ექცევა საჭირო ყურადღება. ეს კი იწვევს ხშირ დაზიანებას და მრავალ „მოულოდნელობას".

არიან ექსკავატორზე კარგად მომუშავე ბრიგადები, რომლებიც მექანიზმების რაციონალურად გამოყენების სამაგალითო ნიმუშს იძლევიან. ასეთია მაგალითად **დუბავიკის** ბრიგადა. აქ მისვლისთანავე თვალში ეცემათ **შრომის მტკიცე დისციპლინა.** ბრიგადირის განკარგულება აქ კანონია და იგი **სრულდება უყოყმანოდ.**

ბრიგადირი დუბავიკი ზრუნავს არა მარტო საწარმოო დავალების სანამუშოდ შესრულებაზე, არამედ თავის ბრიგადის წევრთა მატერიალური მდგომარეობის სისტემატიურად გაუმჯობესებაზე. აქ აწინაურებენ და აჯილდოებენ მოწინავეებს. ყოველივე ამის გამო ბრიგადირ დუბავიკის ექსკავატორი მიუხედავად იმისა, რომ მეტად **მძიმე პირობებში უხდება მუშაობა,** გეგმებს **სისტემატიურად გადაჭარბებით ასრულებს.**

საერთოდ ამჟამად მექანიზმების უმრავლესობა სენაკის რაიონში გეგმებს ასრულებს, მაგრამ ჩამორჩებიან, ზოგიერთი მექანიზმები. უბნის ხელმძღვანელობამ უნდა მიიღოს ყველა ზომა იმისათვის, რომ საწარმოო დავალებას ზუსტ ვადებში ასრულებდეს თვითეული აგრეგატი.

კოლხიდმშენის სენაკის უბნის პირველადი პარტიული ორგანიზაციის (პარტკომის მდივანი ამხ. **კ. ჯოჯუა**) მუშაობაში არ არის ნაკლოვანებები, მაგრამ ეს ორგანიზაცია უფრო კარგად მუშაობს, ვინემ მაგ. ჭალადიდის და ქვალონის პარტორგანიზაციები. აქ უკვე ჩამოყალიბებულია თანამგრძნობთა ჯგუფი, მიმდინარეობს მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებათა შესწავლა. **16 კომუნისტიდან წარმოებაში ფიზიკურად მუშაობდა 10 კომუნისტი.** პარტორგანიზაცია სისტემატიურად იხილავს წარმოებასთან და კავშირებულ საკითხებს, აძლევს კონკრეტულ დავალებებს ცალკე პარტიულებს და 10—15 დღეში **ამოწმებს ცალკე დავალებათა შესრულებას.**

ს. კ.ჰ. (ბ) სენაკის რაიონულ კომიტეტში წელს სამჯერ იდგა კოლხიდმშენის სამუშაოებისათვის დახმარების აღმოჩენის საკითხი, რაიონული აღმასკომის განკარგულებით სოფლის საბჭოები კოლხიდმშენს ეხმარებოდენ მუშა-ხელით, ურმებით და სხვ.

კოლხიდმშენის სენაკის უბნის მუშაობის გამოცდილებიდან სჩანს, რომ **თვითეულ ექსკავატორს და ბრიგადას აქვს ყველა შესაძლებლობა ვადაზე და კარგადაც შეასრულოს გეგმა, თუ ნაყოფიერად იქნება გამოყენებული მუშა-ხელი და მექანიზმები.**

სენაკის უბნის მუშაობიდან სჩანს აგრეთვე ისიც, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების **დახმარებას** კოლხიდმშენის სამუშაოების ცალკე უბნებზე. კოლხიდმშენის სენაკის უბნის პასუხისმგებელი მუშაკები აცხადებენ, **რომ** ისინი ვერ შესძლებდენ პირველი და მეორე კვარტალის **დავალებათა** შესრულებას, თუ მათ აქტიურ **დახმარებას** არ უწევდენ რაიონის ხელმძღვანელი პარტიული **და საბჭოთა** ორგანიზაციები.

კოლხიდმშენის სენაკის უბანი მოვალეა მუშაობის კიდევ უფრო გაძლიერებით შეინარჩუნოს გარდამავალი დროშა, რომელიც მან მიიღო ხელით სამუშაოების წარმატებით შესრულებისათვის და იბრძოლოს ასევე პირველობის მოსაპოვებლად მექანიზმების გამოყენების დარგშიაც.

აკ. ჯოჯუა.



კოლხიდის ჭაობის გაშრობილი ტერიტორია, სადაც ამჟამად რამის საბჭოთა მეურნეობაა.

კოლხიდმშენის მე-2 უბნის საუკეთესო დამკვრელები: ამხ. შენგელაია; ცხადაია; გოგოჩია.

რა გამოირკვა?

„ხაბინაო მშენებლობის არსებული პრაქტიკა ბევრ შემთხვევაში არ შეეფერება მშრომელთა ფართო მასების კულტურულ დონის ზრდას", — ნათქვამია ხაკ. ხაკიმოვისა „ხაბინაო მშენებლობის გაუმჯობესების შესახებ" ჩვენს სინამდვილეში უფრო მეტის თქმა შეიძლება. ხშირად ხაბინაო მშენებლობა არ შეეფერება არა თუ კულტურული დონის ზრდას, არამედ უბრალო ხაბინაო პირობებსაც ვერ აკმაყოფილებს.

ამის ნათელსაყოფად ავალაპარაკოთ ფაქტები:

როცა ბეგემბი უხეიროდ დგება

ავტოსარეზონტო ქარხანამ დიდუბეში აშენა ხამსართულიანი მუშათა საცხოვრებელი სახლი, რომელშიაც უკვე კარგა ხანია ცხოვრობენ. შენობა აგებულია უბეგბოდ, თითქმის არცერთ ბინას არა აქვს სამზარეულო, აბაზანები, წყალგაყვანილობა, ელექტროსინათლე- და საპირფარეშოც კი. ამის გამო მობინადრეები ცუდ მდგომარეობაში იმყოფებიან. მკუსამე სართულში ქვევიდან ეზიდებიან წყალს და სხვ. არც ბინებია კარგად აშენებული, ოთახების იატაკი დაჩხრეულია, ფიცრები დაცილებულია ერთმანეთისაგან, რის გამო შეუძლებელი ხდება იატაკის წყლით მოწმენდა, რადგან წყალი ჩადის ქვედა სართულში და გარდა მობინადრეების შეწუხებისა, იწვევს ჭერისა და კედლების ჩამონგრევას.

მთელ შენობას, როგორც ოთახებს, ისე კორიდორებს, გაკეთებული აქვს 65 სანტიმეტრიანი კარები, რის გამო ბინებში რაიმე ავეჯის შეტანა შეუძლებელი ხდება. კუროიზია, მაგრამ ფაქტია, რომ ზემო სართულებში შკაფებს ან ოჯახის სხვა ავეჯებს ეზიდებოდნენ ფანჯრებიდან.

შენობა არ აკმაყოფილებს მობინადრეების კულტურული მოთხოვნილების მინიმუმსაც კი. მთელ შენობას 2 ივანის მეტი არა აქვს. კიბეები ვიწროა და გაკეთებულია ხისაგან, რაც, გარდა უხერხულობისა, ხაშიშია ცეცხლის გაჩენის მხრივაც.

ავტოსარემონტო ქარხნის მუშათა საცხოვრებლის შენობა ჯერ კიდევ მოუთავებელია. მობინადრეები კი დიდი ხანია ჩასახლებული არიან.

ამ შენობის გვერდით შენდება მეორე ისეთივე კორპუსი. პირველი სართული უკვე აშენებულია. პირველი კორპუსის აგების დროს დაშვებული შეცდომები რომ არ განმეორდეს, საჭიროა ხახლის გეგმების დაუყოვნებლივ გადამუშავება უპასუხისმგებელი მშენებლებს კი პასუხი უნდა მოეთხოვოს.

როცა უგეგმოდ მუშაობენ

მთელ რიგ დიდ ხაამშენებლო ობიექტებზე მშენებლობას აწარმოებენ ყოველგვარი გეგმების გარეშე, ან, თუ აქვთ გეგმა, ის ზოგადი ხასიათისაა(სამუშაო ნახაზები საჭიროდ არ მიაჩნიათ.

ლენინისა და ხაზანოვის ქუჩების კუთხეში ბაზატრანსის მუშაკთა საცხოვრებელ სახლია სამუშაოს მწარმოებელ 3 მიქიაშვილს არცერთი სამუშაო ნახაზი და ხარჯთაღრიცხვა არ აღმოაჩნდა. „საერთო გეგმა მაქვს", — აცხადებს ის. სხვა დანარჩენში კი ვარაფერი მუშაობს

ენინგრსიტეტის ქუჩაზე, № 15, შენდება დიდი საცხოვრებელი ხახლი. სამუშაო გეგმების უქონლობის გამო მშენებლობის მწარმოებლებს ყველაფერი არევიათ, კარები და ფანჯრები ერთმანეთისაგან 10-15 სანტიმეტრით განსხვავდებიან.

ავლაბარში (დოლბაურში) მუშათა საცხოვრებელი ბინების მშენებლებს სრულიაღ გამოჩრჩათ მხედველობიდან სამზარეულოები და საპირფარეშოები. წულუკიძის ქუჩაზე № 3. აშენდა დიდი 4 სართულიანი ხახლი. თუმცა შენობა ჯერ არ ჩაუბარებია კომისიას, მაგრამ მცხოვრებლები უკვე ჩასახლებულან „ძმაბიურად", რის გამო მთელ 4 სართულიან შენობაში არ არის არცერთი დამხმარე განყოფილება და ახლა შეუძლებელია მისი მოწყობა, რადგან მთელი ფართობი მობინადრეებს უკავიათ.

უგეგმო მუშაობის კიდევ მრავალი ფაქტის მოყვანა შეიძლებოდა, მაგრამ ესეც კმარა ხაბინაო მშენებლობის დეფექტების დასახასიათებლად. ხაბინაო მშენებლობა საჭიროებს ყოველდღიურ კონტროლს და დახმარებას.

ს. თვალჯრელიძე.

ამინდი საქართველოში

4 ივლისის დილის 8 ს. 5 ივლისის დილის 8 საათამდე

დასავლეთ საქართველოში გარდა შავი ზღვის სანაპიროებისა, სადაც სუსტი წვიმა მოვიდა, ყველგან მშრალი ამინდი იდგა. ჭროდა სუსტი ზომიერამდე ქარი, რომელიც ლორამის ულელტეხილზე გაძლიერებული იყო შემხვედრი აღმოსავლეთის ქარით. ტემპერატურა დღისით 22 გრადუსიდან (შოვი) აღწევდა 31 გრადუსამდე, ხოლო ღამით 12 გრადუსიდან (ონი) — 22 გრადუსამდე.

აღმოსავლეთ საქართველოში პატარა წვიმა მოვიდა მხოლოდ ტფილისის რაიონში, დანარჩენ ადგილებში იდგა მშრალი ამინდი. ყაზბეგის რაონში ჰქროდა სამხრეთის ძლიერი ქარი. ტემპერატურა ცვალებადი იყო. ღამისთ 18 გრადუსიდან (ყაზბეგი) 30 გრადუსამდე (ტფილისი) და ღამით 21 გრადუსიდან (ტფილისი, ლაგოდეხი) 11 გრადუსამდე (ახასთუმანი).

მოსალოდნელი ამინდი 6 ივლისისათვის: დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია მნიშვნელოვანი მოღრუბლულობა, მცირე წვიმა, სუსტი ზომიერამდე ქარი დასავლეთიდან და ტემპერატურის მცირე ცვლილება.

აღმოსავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, მცირე წვიმა, ელექტა, სუსტი ქარი და ტემპერატურის მცირე ცვლილება.

მწვანე ნარგავთა სანერგეები

ტფილისის თვითთულ რაიონში

ტფილისის საბჭომ და რაისაბჭოებმა გადაწყვიტეს ბოლო მოეღოთ იმ ჩამორჩენილობისა, რომელსაც ადგილი აქვს ტფილისის გაჩენილ ბოლ, დარგში. მწვანეთამშენებლობაში ერთ მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენდა ის გარემოება, რომ მოწყობილი არ ჰქონდათ მწვანე ნარგავთა სანერგეები და ნერგების მეტი და შემოტანა სხვა ქალაქებიდან უხდებოდათ.

რაისაბჭოებმა გადაწყვიტეს მწვანეთა ძეგლებლობის საქონო-ბისათვის მოაწყონ საკუთარი სანერგეები. ამ მხრივ ჯერ-ჯერობით. პირველია გადადგა 26 კომ. რაისაბჭომ, რომელსაც ტფილისის საბჭომ უკვე გადაეცა სანერგეს მოსაწყობად საჭირო მიწის ნაკვეთი.

საკუთარი სანერგეს მოსაწყობად მუშაობას შეუდგა ორჯონიკიძის სახ. რაისაბჭოც. მას ტფილისის [illegible] ინსტიტუტის ყოფ. დინერო ოგიური ბაღი, სადაც მოწყობილი იქნება სანერგე. ინსტიტუტი კი [illegible] მიწის ნაკვეთი.

სურათზე — ბუჭუსუბის ჯიშის ბუჩქების გამზადება სანერგეში გადასატანად.

ტფილისის სახელმწიფო

კონსერვატორიაში იწყება ახალი მიღება

ტფილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში იწყება ახალი სასწავლო წლისათვის მიღება შემდეგ ფაკულტეტებზე: სამეცნიერო-საკომპოზიციოზე (საკომპოზიციალურ—საკომპოზიციო, მუსიკისმეცნიერების და სადირიჟორო), ინსტრუმენტალურზე (სოროკესტრისა და საფორტეპიანოზე) და ვოკალურ-ხორ.

სოროკესტრო დარგი თავის მხრივ დაყოფილია სხვადასხვა სპეციალობებად: ვიოლინოს, ვიოლას, ვიოლონჩელის, კონტრაბასს, ქნარის, ფლეიტასი, გობოის, კლარნეტის, ფაგოტის, საყვირის, ტრომბონის დასარტმელი საკრავების და სხვ.

სახელმწიფო კონსერვატორიაში მიიღებიან როგორც ქალები, ისე ვაჟები 17-დან 30 წლამდე. მისაღები გამოცდები იწარმოებს როგორც სპეციალურ ცოდნაში (კომპოზიციაში, მუსიკალ ცოდნის საერთო დონეში, სიმღერაში, როიალზე და სოროკესტრო საკრავების დაკვრაში), ისე კლასთა ბრძოლის ისტორიაში, პოლიტეკონომიაში, ეკონომიურ პოლიტიკაში და ქართულ ენასა და ლიტერატურაში.

განცხადებები მიიღება 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე. 20 აგვისტოდან დაიწყება მისაღები გამოცდები.

30 ივლისს რიონჰესის საგზეიმო გახსნაა



რიონჰესის მშენებლობა დამთავრდა. სადგურის ხაზეიმო გახსნა დანიშნულია 30 ივლისისათვის. გახსნაზე სტუმრები მოწვეულნა საბჭოთა კავშირის [illegible] ყველა მხხვილ ენერგიდან.

რიონჰესს ოთხი ტურბინა აქვს, თვითეული 17.500 ცხ. ძალის ხომალავრის. სადგურის მოწყობილობს 90 პროცენტ დამზადებულია საბჭოთა ქარხნებში. რიონჰესი უველაზე ძლიერი სადგურია საბჭოთა კავშირში, რომელშიაც დადგმულია მძლავრი საბჭოთა ტურბინები.

რიონჰესის პირველი ტურბინა ამუშავდა 1933 წლის ოქტომბერში. სადგურის ცხრა თვის მუშაობამ დაამტკიცა, რომ ყველა მიდგრა-ტექნიკური ნაგებობა მკვიდრი და საიმედოა. საუცხოოდ მუშაობს სადგურის საბჭოთა მოწყობილობა, განსაკუთრებით ძალოვნური ტრანსფორმატორები, რომლებზედაც დღემდე არცერთი ავარია არ ყოფილა აღრიცხული

რიონის ბიდრო-ელექტრო სადგური ტექნიკური თვალსაზრისითაც საინტერესო ნაგებობას წარმოადგენს. სადგურავაციო არხი იწყება სამი გვირაბით და გრძელდება 10 კილომეტრზე. სადგუთის მშენებლობის ფრონტი გაშლილი იყო 15 კილომეტრზე.

რიონჰესის იაფი ენერგიის საფუძველზე მძლავრად განვითარდება ქუთაისის და ახლო რაიონების მრეწველობა. რიონჰესის დენი მუშაობენ ზესტაფონის ფერო-მარგანეცის ქარხანა, ქუთაისის საწარმოები. ელექტრომავლები ხურამის უღელტეხილზე, ახლო ხანში რიონჰესის ენერგიაზე გადავლენ ტყიბულის და პიასეურის მაღაროები.

სურათზე: რიონჰესის სათავის ნაგებობა.

ბაღოვნები

თელავის სახელმწიფო თეატრის გასტროლები

„ბოარი" (ალბეთის ბავშვი)

თელავის თეატრის სპექტაკლები კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში საბჭოთა საზოგადოებრივობის ყურადღების ღირსნა. თეატრს საგრძნობი მიღწევები მოუპოვებია სცენური ოსტატობის გზების დაუფლებისაკენ ბრძოლაში. თეატრის ახალგაზრდა კოლექტივს რეჟისორ ვასტანგ აბაშიძის ხელმძღვანელობით ჯანსაღი საბჭოთა თეატრალური ორგანიზმის ყველა ნიშნები უჩანს.

შკვარკინის კომედიის დადგმა გვიჩვენებს თეატრის სწორ მიდგომას სერეპერტუარო პიესისადმი. სავსებით სწორი და მისაღებია ძლიერი ლირიკული (და არა ბრონტეტკულ-მარეული აქცენტი, რომელიც მიუცია დამდგმელს შკვარკინის კომედიისათვის.

მსახ. ზაქარიაძის (თასიმ) ემოციურად მდიდარი და მაყურებლამდე მისული ოამაში კარგად გადმოგვცემს პიესის ამ საუკეთესო პერსონაჟის ოპტიმისტურ და დამაჯერებელ ხასიათ ზაქარიაძეს მთავარი ღირსება ამაშია, რომ იგი მოცემული სახის ბიოგრაფიასთან ერთად სრული შეგნებით გვისურათებს მთელი ვარამოს და თამაშობს არა თავისთვის, არამედ ყველა პარტნერისათვის.

მსახ. დ. ჯალადანია (ვალიკო) კბილის ტექნიკოსის როლში იძლევა ახალი ოვივატელის ყოფასა და ფსიქიკაში მომხდარი ძვრების მშაბერულად კარგად დასაბუთებულ სახეს.

რეჟისორ-ცალ მიერ აფორიაქებული წვრილბუოოუაზიული ჭიობი ამოვარდნილა თავისი ბუდიდან. ახალი ადამიანის ფსიქიკის დადგინებას ეს ჭიობი, ვალიკოს სახით, ბორით ებრძვის; მაგრამ ახალი ყოფის ქვეშ ჭორი მარცხდება.

მესაკუთრულ ინსტიტუტების პატარა ამბავი, რომელიც მოცემულია შკვარკინის პიესაში, ბადებს მანანას პროტესტს, რომელიც გამოკვეთა მსახიობ მელიქიშვილის გადმოცემაში, როლის საერთოდ დამაკმაყოფილებლად შესრულების და მიუხედავად, ვინაა ჩართული ზაქარიაძისგან სიმსუბუქეში.

სხვა მსახიობთა შესახებ უნდა ითქვას, რომ მათ მომავალში კიდევ უფრო უნდა გაამდიდრონ თავიანთი აქტორული ტექნიკა.

მხატვრული გაფორმება (მხატვარი ბანჯაველაძე) უნდა გასცილდეს ჩვენ თეატრალურ დადგმათა უკვე მიღწეულ ნიმუშების გაძეორებას.

ალ. არსენიშვილი

მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრის გასტროლები

17 ივნისს ქუთაისში დაიწყო მოზარდ მაყურეველთა სახელმწიფო თეატრის გასტროლები. გასტროლების მიზანია დასავლეთ საქართველოს მთავარ ქალაქებში აპეტაკლებით მოზარდ მაყურებელთა მომსტეორობა.

თეატრი ერთი თვის განმავლობაში მოიარეს ქუთაისს, ზუგდიდს, ფოთს და ჭიათურას. ქუთაისის ფართე საზოგადოებრივობამ თეატრს აღფრთოვანებით შეხვდა. პარტიული და პროფესიულმა ორგანიზაციებმა უზრუნველყვეს თეატრის კოლექტივი მომარაგებით და ბინით. თეატრს თავისი მუშაობა ქუთაისში უნდა დასრულებია 24 ივნისს, მაგრამ ადგილობრივი ხელისუფლების თხოვნით დარჩა 26 ივნისამდე. გასტროლების დამთავრებისას თეატრის მთელ კოლექტივს გაუმართეს ბანკეტი.

29 ივნისიდან მოზარდ მაყურებელთა თეატრმა საგასტროლო მუშაობა დაიწყო ზუგდიდში. სპექტაკლებს დიდძალი ხალხი ესწრებოდა.

კვეგის საამქროს ოსტატები

მუშათა კვეგის საამქროებმა ტფილისის ფაბრიკა-ქარხნებთან, შესაბამისად ფაბრიკა-ნაწილ მუშაობა. მუშათა სასადილოების უზრუნველსაყოფად ბოსტნეულით და სხვა პროდუქტებით ქარხნებს მოწყობილი აქვთ საკუთარი საგარეუბნო მეურნეობები, მეცხოველეობა, ფერმები და სხვა დამხმარე მეურეობები.

ეგზეთათა საუკეთესო სასადილოზე გამოცხადებულმა საკავშირო კონკურსმა ხელი შეუწყო კვების საქმის გაუმჯობესებას.

ბუშათა კლუბებსა და ბაღებში

სტალინის სახ. კლუბში დღეით ეწყობა პიონერთა დიდი რაიონული სპბავშვო დღე; ჩატარდება მხატვრული პროგრამა ბავშვთა ძალებით

საღამოთი გაიმართება „საბჭოთა კავშირის ხალხთა დღესასწაული". წარმოდგენილი იქნებიან სარკეს სხვადასხვა ერების ნაციონალური ტანსაცმლით, ცეკვებით, ფეხცეკვა და სხვადასხვა დასაკვავი ინსტრუმენტები.

[illegible] მიწყობილია სესხების ობლიგაციათა შემმოწმებელი მაგიდა. კინო-დარბაზში ჩატარდება კინო-ლექცია თემაზე „ოქტომბერი და ლენინი რელიგიის შესახებ" და [illegible]

ფაბკოლოტრის მოედანზე „იწარმოებს დამსვენებლების მასობრივი შეჯიბრებები.

კლუბანოვის სახ. კლუბში კონსტიტუციის დღესთან დაკავშირებით მთელი დღე მიძღვნილი იქნება საბჭოთა კონსტიტუციისადმი. დილით ჩატარდება საბავშვო ფესტივალი, საღამოთი ესტრადაზე გამოვლენ კლუბთან არსებული თვითმოქმედი წრეები, ესტრადის მახსიობება და სატაგიტიერატრი. შემდეგ კონსტიტუციის საკითხებზე წაკითხული იქნება მოხსენება, ბიბლიოთეკაში კი სპეციალურად გამოუფენილ იქნება კონსტიტუციისა გამოყოფილება.

ორჯონიკიძის სახ. კლუბში დილით ჩატარდება საბავშვო დილა. საღამოზე გაიმართება დიდი კონცერტი და მასობრივი ეკიკები გრიშა ჩიკაძის ხელმძღვანელობით.

ტფილისის სახელმწიფო

თეატრის გასტროლები

„ბოარი" (ალბეთის ბავშვი)

რესპუბლიკის სახალხო არტისტის სანდრო ახვლედიანის ხელმძღვანელობით

1934—35 წლის

სეზონისათვის დაიწყო წლიური абонემენტი და [illegible] ეტაპზე [illegible] ადგილ [illegible] 9 საათ [illegible]

ბოიკოტიანი

ტფილისი — ვორონეჟი

1 ივლისს „დინამოს" სტადიონზე გაიმართა უკანასკნელი შეჯიბრება ვორონეჟის გუნდთან. ტფილისის მხრიდან თამაშობდა კალინინის სახელობის ქარხნის გუნდი.

შეჯიბრების პირველ წუთებში თამაში თანაბრად მიმდინარეობს. მე-20 წუთზე ტფილისის მარჯვენა გარე-მარცხ. გ. ჯეჯელავა სწრაფად გატაცებს ბურთს, მიიტანს საბოტო ხაზამდე და მოხდენილად მობურთავს გოლისკენ. ბურთი მოხვდება ბოძს და ბადეში შეაღწევდა.

თამაშის თანდათან ცხოველდება. რამდენიმე წუთის შემდეგ ტფილისელი ვ. ჩერვინჩენკო ლამაზი თავური დარტყმით მეორეჯერ გაარღვევს სტუმრების კარებს.

გუნდების შემდეგომ ბრძოლას შედეგი აღარ მოყოლია და თამაშის პირველი განყოფილება თავდება 2:0 ტფილისის სასარგებლოდ.

მეორე ტაიმში ვორონეჟელები ჩვეულებისამებრ უფრო აძლიერებენ თამაშია ტემპს, ხშირად უახლოვდებიან ტფილისის კარებს და ბევრ საინტერესო მომენტს ქმნიან, მაგრამ ტფილისის მეკარის ალ. პაპკოვის შესანიშნავი თამაშის წყალობით ბურთი მათ ცდა უშედეგოდ თავდება.

დროგამოშვებით კალინინელებიც ძლიერ შეტევას ანვითარებენ და ავიწროებენ მოპირდაპირეს. ერთიერთ ასეთი მომენტის დროს გ. ჯეჯელავას მესამე ბურთი გააქვს.

ცნობილ, რომ ვორონეჟელები „მშობიარ" ანგარიშით წაგებენ მინდვრიდან. მაგრამ მაო. მოიკრიფეს ძალღონე და ტაიმის [illegible]-ამოვრეტამდე ერთი ბურთი გააქვითეს. შეჯიბრება დამთავრდა ტფილისის გუნდის გამარჯვებით 3:1.

ქირივი — ტფილისი

ფეხბურთის ტფილისის საბჭომ ორი შეჯიბრებისათვის ტფილისში მოიწვია ყირიმის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი. შეჯიბრებები გაიმართება 6 და 7 ივლისს ლენინის სახელობის სტადიონზე.

რუსთაველის თეატრი

რესპუბლიკის სახალხო არტისტის სანდრო ახვლედიანის ხელმძღვანელობით

1934—35 წლის

სეზონისათვის დაიწყო წლიური абонემენტი და [illegible] ეტაპზე [illegible] ადგილ [illegible] 9 საათ [illegible]

ოდეონი

7. 9. 11.

„სნაიპერი"

დამკვრელი საზაფხ.

ელამკვრელი საზამთ

6.30 [illegible] 9.30 11

ეთერი საზაფხ.

9.15 11

ტემკი (საზაფხ.)

„ეგ"-ის სახ.

[illegible] 9 11.

[illegible] ლიუბლიანეგბურგის სახელოგბის

[illegible] 7 9. 11

„ომინტერნი" საზაფ.

[illegible]

ამერიკული ფილმი

„ბელლა დონნა"

ჰოლლა ნეგრის მონაწილეობით

თანამედროვე ხატოვული კომედია

„მიუვარხარ?"

ახალი ხატვრული ფილმი

„ეუ ემ ეარ"

[illegible] ბეგბეგბერიძე, [illegible] აშაქიძე.

სოფიო [illegible] ბეთგან [illegible] ში

„ორი შეხვედრა"

ხატვრული უცათი

„სურამის ციხე"

ოდეონ

[illegible] ბეგბერიძ

[illegible] ბეგ

[illegible] ბეგ

**[illegible] ბეგ